



იგორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№302 (361) 3-10 თებერვალი 2015

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანი 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრუნად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანაჩინება ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – ააქი ვანიძე

პროკონის პრაზი პროვნილ სახელმწიფოებრიობაზე უარის სათქმელად მზად არ აღმოჩნდნენ

გაგრძელება წინა ნომრიდან
ჟურნალისტ ირაკლი თოდუას ინტერვიუ ბატონ ალექსანდრე ჭავჭავაძისთან დაიბეჭდა 2012 წელს, გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“

– რით არის განპირობებული მსოფლიოში აშშ-ის ასეთი აგრესიული პოლიტიკა? ნუთუ მხოლოდ ნავთობის მსოფლიო მარაგებზე კონტროლის სურვილებია? აშშ-ის ეკონომიკური მდგომარეობა ხომ კატასტროფას უახლოვდება – მხოლოდ საგარეო ვალმა 13 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ასეთი გიგანტური თანხის წარმოდგენაც კი რთულია...

– საქმე უბრალოდ ართიმეტიკაშია. აშშ-ის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 4 პროცენტს შეადგენს, მაგრამ მსოფლიო რესურსების 40 პროცენტს მოიხმარს. ერთი ამერიკელი 10-ჯერ მეტს მოიხმარს, ვიდრე დედაამის საშუალო სტატისტიკური მაცხოვრებელი, ევროპელების ჩათვლით. თითონ აშშ მოხმარებული პროდუქტის მხოლოდ მცირე ნაწილს აწარმოებს. ძირითადი მოხმარება დანარჩენი მსოფლიოს ექსპორტ-აქციის, უფრო სწორად, მარცხის ხარჯზე ხორციელდება. ამ მიზნისთვის არსებობს დოლარი, როგორც მსოფლიო ვალუტა, რომელზეც ქვეყნების უმრავლესობის ვალუტებია მიბმული. რატომ სძულთ ასე ძალიან ამერიკელებს სტალინი? იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირმა სტალინის მმართველობის პერიოდში უარი თქვა რუბლის დოლართან მიბმაზე და უარი თქვა საგარეო-სავაჭრო ოპერაციებში მის გამოყენებაზე. სტალინმა ამ მიზნისთვის ოქროს რუბლი შემოიღო, რომელიც რეალური ოქროს იყო უზრუნველყოფილი. ზუსტად იმის გამო შეიძლება ამერიკულმა მმართველმა კლასმა სტალინი, რომ სტალინმა მათ მთავარ იარაღს – დოლარს სსრკ-ის რესურსებისგან გზა გადაუკეტა. პირველი, რაც გააკეთეს «რეფორმატორებმა» სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ვალუტა მიიბნეს დოლარს. აშშ, როგორც მსოფლიო ვალუტის ემისიური ცენტრი, ბეჭდავს დოლარებს და მათ სანაცვლოდ მსოფლიო რესურსებს თავის სასარგებლოდ ქაჩავს. მთლიანობაში დაბეჭდილია კატასტროფული თანხა – 1 კვადრილიონ 420 ტრილიონი დოლარი; ეს მეტია, ვიდრე მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტი!

იმისთვის, რომ გაევივით, რას წარმოადგენს ეს დოლარი, შარღ დე გოლთან დაკავშირებულ კლასიკურ ისტორიას მოვიყვან. იგი პროფესიონალი სამხედრო იყო და ეკონომიკაში ცუდად ერკვეოდა, მაგრამ საფრანგეთის პატრიოტი იყო და, როცა პრეზიდენტი გახდა, ყურადღება მიექცია იმას, რომ დოლარი ქვეყანაში პარალელურ ვალუტას წარმოადგენდა, რომელიც ყიდულობდნენ და გაჰქონდათ როგორც რესურსები, ისე ხელფანების ნიმუშები. იგი დაინტერესდა ამ საკითხით და ამ ფინანსური ოპერაციების ბუნების შესახებ ერთ ძველ ფინანსისტს პკითხა. ფინანსისტის პასუხი ასეთი იყო: წარმოიდგინეთ, რომ საფრანგეთი ყიდის და ვინის „მონაღიზას“; რუსი მის სანაცვლოდ გუთავაზობს 100 ათას რუბლს, რომლის უკანაც დგას ოქრო, ალმასები, ნავთობი; ჩინელი გუთავაზობს 100 ათას იუანს, რომლის უკანაცაა აბრეშუმი, ოქრო, მადანი; ხოლო ამერიკელი გუთავაზებს 200 ათას დოლარს და მიიქვს სურათი. «და ფოკუსი რაშია?» – იკითხა პრეზიდენტმა. ფოკუსი კი იმაშია, – უპასუხა ფინანსისტმა, – რომ ამ 200 ათასის ფასი იმ ქალაქისა და საღებავების ტოლია, რომლებიც მის დაბეჭდვაში დაიხარჯა. ერთი 100-დოლარიანი კუპონი

აშშ-ს 0,3 ცენტრი უჯდება. ამის შემდეგ დე გოლმა მოუწოდა ფრანგებს, გამოეჩინათ პატრიოტიზმი, მხარი დაეჭირათ ეროვნული ვალუტისთვის და მათ ხელთ არსებული დოლარები ფრანგებზე გადაეცვალებათ. შეგროვებული დოლარები მან აშშ-ში გადააგზავნა და თავისი ოფიციალური ვიზიტის მსვლელობისას მოითხოვა, გადაეცვალებათ ოქროზე, რომელიც ისინი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ამერიკელები, სკანდალისთვის თავი რომ აერიდებინათ, დათანხმდნენ, მაგრამ ამის შემდეგ მიიღეს კანონი, რომლის თანახმად, აშშ-ის სახლურებს გარეთ ბრუნვაში არსებული დოლარის კუპონების ოქროთი უზრუნველყოფა არ მოხდებოდა, ანუ ოფიციალურად დააფიქსირეს, რომ ეს მხოლოდ მწვანე ქაღალდებია მასონური სიმბოლიკით.

მაგრამ იმისთვის, რომ მსოფლიოს ქვეყნები დათანხმდნენ, მიიღონ ეს ქაღალდები, როგორც ვალუტა და მათ სანაცვლოდ ეროვნული სიმბოლოები გასცენ, საჭიროა დამატებითი არგუმენტი – სამხედრო ძალა. ამიტომაც აქვს აშშ-ს მსოფლიოს ყველა კუთხეში 136 სამხედრო ბაზა. ბოლო ათწლეულში სიტუაცია შეიცვალა. პირველ რიგში, ცუდად თუ კარგად, ვერო ჯერ კიდევ მუშაობს, ჩინელები ოქროს იუანის შემოდებას აპირებენ, არაბები ოქროს დინარის შემოდებაზე საუბრობენ, რუსეთი საგარეო სავაჭრო ოპერაციების რუბლზე გადაყვანას იწყებს. მეორეც, რიგი ქვეყნებისა უარს ამბობს ამერიკისთვის სანდღლეულო დანამატის როლზე, თავისი რესურსების საკუთარი სახელმწიფოს განვითარებისთვის გამოყენებას. რა ქან ამერიკელებმა? უნდა დაბოძებონ და ოკუპაცია მოახდინონ, რომლის დროსაც მილიონზე მეტი ადამიანი მოკლეს, დაბომბეს ლიბია – მოსახლეობის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის მქონე ქვეყანა. ფრანცი და ლიბიაც რამდენიმე კვანძს დაიწყო და დაიწყო და უკვე ვეღარასოდეს დადგება ფეხზე, მათი რესურსები კი «ოქროს მილიარდის» სასარგებლოდ გაიწოვება. იგივე ბედი ელის იემენს, იმავეს გაკეთება უნდათ სირიასა და ირანში.

არის ერთი აქსიომა, რომელიც აშშ-ისა და ზოგადად დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური კურსის საფუძველში დევს: იმისთვის, რომ «ოქროს მილიარდის» ქვეყნებში ახლანდელი მოხმარების მაღალი დონე შეინარჩუნონ, დანარჩენი კაცობრიობა სიღატაკში უნდა ამყოფონ. პლანეტის რესურსები შეზღუდულია, ყველას კარგი ცხოვრებისთვის არ ეყოფა. დასავლეთის მოხმარების შემცირება არ უნდა. ცვადეთ, ამერიკელები შესთავაზოთ, მოიხმარონ იმაზე ნაკლები, ვიდრე ისინი მიეჩივენ, – ისინი ნებისმიერ მთავრობას წაღეკავენ. რა გამოსავალი აქვს ამერიკის მმართველ ელიტას? – ომი, დიდი ომი, რა თქმა უნდა, ამერიკის ფარგლებს გარეთ. ომი, რომელიც მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილს გამოეფიტავს, ხოლო შემდეგ იქ მივლენ ამერიკელები თავიანთი დოლარით და ისევე ჩვეულ და ძალიან სარფიან საქმეს ამპოფენ ხელს – დოლარების გაყიდვას. ასე გამოვიდნენ ისინი კრიზისიდან მეორე მსოფლიო ომის წყალობით, ასე მოვიდნენ ისინი გამოფიტულ ევროპაში ომის შემდეგ.

– ეს მოვლენათა განვითარების ერთადერთი შესაძლო ვარიანტი თუ ამ მდგომარეობიდან სხვა გამოსავალიც არსებობს?

– არის სხვა გზაც: დოლარის პირამიდის ნგრევა, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, დოლარზე, როგორც მსოფლიო

ვალუტაზე, უარის თქმა, რეალური რესურსებით უზრუნველყოფილი ნაციონალური და რეგიონული ვალუტების წარმოშობა. ამ შემთხვევაში ყველა ქვეყანას მოუწევს, რეალური პროდუქტი აწარმოოს, შიდა ბაზარი განავითაროს, ხოლო პროდუქტი რეალურ ფულად, და არა მწვანე ქაღალდის სანაცვლოდ, გაყიდოს. ამერიკელები იძულებულნი გახდებიან, უარი თქვან პაერის გაყიდვაზე, ვირტუალურ ბაზარზე, ე.წ. ფასიან ქაღალდებზე, ისევე განავითარონ რენტაბელური სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც ახლა მათ არ გააჩნიათ.

– ასეთი ვარიანტი ყველა ქვეყანას დარტყმას მიაყენებს, კრიზისი ყველას შეეხება...



– რა თქმა უნდა. ზუსტად ამიტომ ცდილობს ყველა ამ კრიზისის გადაადგებას, საერთო ძალეობით ცდილობენ დოლარის გადარჩენას. რომ არა ეს ძალისხმევა, დოლარი, დიდი ხანია, ჩამოშლულია. საკმარისია, ჩინეთმა და რუსეთმა ბაზარზე გამოყარონ თავიანთი დოლარის მარაგები და დოლარი ყველასთვის გამოუსადეგარ ქაღალდად გადაიქცევა, მაგრამ რამდენ ხანს შეძლებენ ამის გადადგებას? ფინანსურმა პირამიდამ, თუნდაც ის გლობალური იყოს, არ შეიძლება მუდმივად იარსებოს. საკითხავი ისაა, რა მოჰყვება დოლარის კრახს: მსოფლიო ომი თუ შედეგობით მსოფლიო კრიზისი შემოვიფარგლოთ? პირველ შემთხვევაში მივიღებთ გამარჯვებულის მსოფლიო მმართველობას ან გამარჯვებულთა შორის ახალ მსოფლიო გადანაწილებას; მეორე შემთხვევაში – იმ ქვეყანათა ლიდერობას, რომლებსაც გააჩნიათ რესურსები და შრომისმოყვარე მოსახლეობა, რაც მათ საშუალებას მისცემს, მოკლე ვადებში გამოვიდნენ კრიზისიდან და ეკონომიკა აღადგინონ.

– როგორ უნდა მოიქცეს საქართველო მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში?

– პირველ რიგში, უნდა ეცადოს, არ გაიჩინოს მტრები, რომლებიც ომის შემთხვევაში მას გაანადგურებენ; მეორე – არ დაუშვას ქვეყნის შემდგომი დაშლა უახლოეს წლებში; მესამე – ააშენოს ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება: ა) შიდა ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე; ბ) იმ პროდუქტის წარმოებაზე, რომელიც შეიძლება გარე ბაზარზე მყარ ვალუტაზე გაიყიდოს ან იმ რესურსებზე გადაიყიდოს, რომელთა ნაკლებობასაც ქვეყანა განიცდის.

– ჩვენს ხელისუფლებამ მუდმივად ამტკიცებს, რომ აშშ-ის დახმარებით განვითარებულ ეკონომიკას ვაშენებთ და უკვე მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე ღირსეული მითამაშე გავხდით...

– ქვეყანას, რომლის იმპორტიც 4-ჯერ

აღემატება ექსპორტს, არ აქვს უფლება, ნათვალს, რომ ეკონომიკა გააჩნია. ჩვენ ოთხჯერ ნაკლებს ვყიდით, ვიდრე ვყიდულობთ. მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს იმ ფულით, რომელსაც ნათესავები საზღვარგარეთიდან უგზავნიან, ძირითადად სწორედ ეს ნაღდი ვალუტა უზრუნველყოფს ფულის ბრუნვას ქვეყანაში. ამ ფულით ჩვენ ვფარავთ შემოტანილი პროდუქტის ღირებულებას, ფული კი ისევე საზღვარგარეთ ვაგდინებთ. სქემა ძალიან მარტივია: თქვენი ნათესავი გიგზავნით რუსეთიდან ფულს, თქვენ ამ ფულით თურქეთიდან შემოსულ საქონელს ყიდულობთ, ფული თურქეთში ვაგდინებთ, ნაწილი კი შუამავალს რჩება. ამ სქემაში ქართული ეკონომიკის ადგილი არაა. შემოსავლების მეორე ნაწილი ქართული რეალობის მცოდნე ერთ-ერთმა გერმანელმა ექსპერტმა სიტყვასიტყვით აღწერა: საქართველოში რეალური ეკონომიკა არ არსებობს; ქვეყანა უცხოურ გრანტებზე, კრედიტებზე ცხოვრობს, რომლებსაც იგი დებულობს გარკვეული გეოპოლიტიკური ამოცანის შესრულების სანაცვლოდ, რაც რუსეთის სამხრეთის უსაფრთხოებისთვის ძირის გამოთხრაში მდგომარეობს. თუ აშშ-ში ამ ფუნქციაზე მოთხოვნა არ იქნება, სრული ეკონომიკური კოლაფსი დადგება. მანვე საქართველოს შეარქვა პიარის, ანტურაჟისა და გარეგნული ეფექტის ქვეყანა, რომელიც ორიენტირებულია უცხოელების შექებაზე.

განვითარების ის მოდელი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, საქართველოს ბატისტანდროინდელ კუბად აქცევს. იქ ამერიკელებისთვის ტურისტული სამოთხე იყო, შენდებოდა ვეშენებელი სასტუმროები, რესტორნები. ტურისტების მომსახურებით დაკავებული იყო ათასობით მზარეული, დამლაგებელი, მეძავე და მუხიკოსი. ათათასობით კუბელი მუშაობდა აშშ-ში შავ სამუშაოზე და ნათესავებს ფულს უგზავნიდა. ის, ვისაც არ უნდოდა ან არ შეეძლო მზარეულობა თუ მეძავეობა, შაქრის ლერწმის პლანტაციებში მონური შრომით იყო დაკავებული. განათლებაზე, მეცნიერებაზე, ჯანდაცვაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. ეს იყო ამერიკული კოლონია, რომელსაც ისინი იმ მიზნით იყენებდნენ, რათა მისცემოდნენ იმ ცოდვებს, რომლებიც ჯერ კიდევ განიკითხებოდა ამერიკულ საზოგადოებაში – სექსი, ღოთობა, ბანქო, კაზინო, პომოსექსუალიზმი. კასტრომ, ჩე გევარამ, კუბელმა ხალხმა ბოლო მოუღო ამ დამცირებას. ამის გამო აშშ-ს ისინი დღემდე სძულს, ნახევარი საუკუნე ამყოფებენ კუბას ეკონომიკურ ბლოკადაში. თითონ აღიარეს, რომ 600-მდე თავდასხმა მოამზადეს კასტროს წინააღმდეგ, მაგრამ შედეგს ვერ მიიღწიეს.

დღეს კუბაში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის საშუალო და უმაღლესი განათლება და საუკეთესო მედიცინაა. სხვათა შორის, ერთიც და მეორეც უფასოა. ცხოვრობენ მიკროდოლარულად, მაგრამ აღამიანურ და ეროვნულ ღირსებას ინარჩუნებენ. მიუხედავად «კასტროს რეჟიმის საშინელებათა» შესახებ მსოფლიო პროპაგანდისა, მისი ავტორიტეტი ლათინური ამერიკის ქვეყნებში ყველა ადგილობრივი ლიდერის ავტორიტეტზე მაღალია. საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის საქართველო ინდუსტრიული, კულტურული განვითარებითა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობით თანამედროვე კუბაზე ბევრად მაღლა იდგა, მაგრამ, ბოლო 20 წელია, ბატისტანდროინდელი კუბისკენ მიექანება. ჩვენ ან შევჩვენებთ ამ დატყვევას, ან როგორც ერი გადავგვარდებით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია

მასშუბტი ბაბრათიონის ნააზრევში

კვლავ დაგვბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს და განვიხილოთ წერილობითი წყაროები და ლიტერატურა ამ ორი მდინარის – ეგრისწყლისა და დადიწყლის ლოკალიზაციის შესახებ.

თუკი საკითხს წერილობითი წყაროების პირდაპირი და მკაფიო ჩვენების არარსებობის გამო გამოვიყენებთ მეთოდით მიუღწევრად, ამასთანავე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას შეიძლება რაიმე მნიშვნელობა მიენიჭოს ამა თუ იმ მდინარის თავისებურებას (მაგალითად, სიდიდეს), მაშინ ილორის ეკლესიის მახლობლად და მის აღმოსავლეთით, შავ ზღვაში ჩამდინარე ანარია-ოხურეიწყაროს ვახუშტისეული „ეგრისწყლად“ მიიხსენიება გამოირიცხოს, ვინაიდან, აღნიშნული მდინარე დალიძესა და ოქუშთან შედარებით გაცილებით მცირე სიდიდისაა (სიგრძე 24 კმ) და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ამ მდინარეს ასე თუ ისე განცალკევებული ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნისა“ თუ ეპარქიის, როგორც საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულის, ტერიტორიული მოწყობისათვის ხელსაყრელი პირობები შეექმნა. მაშასადამე, მდინარე ანარია-ოხურეიწყარი, თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, ოდიშის დასავლეთი ნაწილის პოლიტიკურ და საეკლესიო გეოგრაფიაზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენდა.

ეკლესიას, სამრევლოსა და სასახლეს (ცხადაია, ჯოჯუხა 2003: 228).

ვახუშტი, როგორც ზემოთ დამოწმებული ამონაწერიდან ჩანს, ბედიის მდებარეობას მიუთითებს „ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა“. მაშასადამე, ეგრისის მდინარეში გულისხმობდა ოქუშწყაროს მარჯვენა შენაკადს – ოხოჯეს, რაც ლაშქინდარ-ოისურის ძირას, სოფ. ახილდაში იღებს სათავეს და ბულიშხინჯში შეერთვის ოქუშწყაროს. თვით ოქუშწყაროს – სამურხაყანოს ერთ-ერთი დიდი მდინარის, სათავე კოდორის ქედის სამხრეთ კალთაზეა. მდინარის სიგრძე 56 კმ-ია და ჩაედინება შავ ზღვაში, სოფ. მეორე გულდავას ტერიტორიაზე.

„ეგრისწყლისა“ და ოხოჯეს იგივეობის დაშვების შესაძლებლობას, როგორც ფიქრობდა ივანე ჯავახიშვილი, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს, ჩვენი აზრით, მეტად ანგარიშგასაწვევი და მნიშვნელოვანი გეოგრაფიული კანონზომიერება – მდინარის თავისებურება, და, კერძოდ, მისი სიდიდე. ისტორიული წყაროებისა და სადღესო ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული თუ საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულები (ეპარქიები) ერთმანეთისაგან ძირითადად დიდი (ან შედარებით დიდი) მდინარეებით იმიჯნებოდა. ასე, მაგალითად, ოდიში (ახლანდ. სამეგრელო) იმერეთისაგან ძველად და ახლაც ცხენისწყლით იყო და არის გამოყოფილი; გურისის საზღვარი ძირითადად ირონის მიუყვება; თანამედროვე აფხაზეთისა და სამეგრელოს გამყოფს ენგური წარმოადგენს და ა. შ.

ოხოჯეც, ანარია-ოხურეიწყაროს მსგავსად, პატარა მდინარეა, რაც მარჯვნიდან შეერთვის ოდიშის ერთ-ერთ შედარებით დიდ მდინარეს – ოქუშს. ამ ორი მდინარის შესართავს ქვემოთ, შავი ზღვის შესართავამდე, მდინარე დღესაც ოქუშის/ოქუშწყაროს სახელითაა ცნობილი და, იმის მიუხედავად, რომ ვახუშტი ისტორიული ოდიშის დასავლეთი ნაწილის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერისას მდინარეს არც ამ სახელწოდებით მიუთითებს, სხვა წერილობითი წყაროები დასტურდება, რომ ვახუშტის დროს (XVIII ს. I ნახევარი) და მასზე ბევრად ადრეც, აღნიშნული მდინარე სწორედ „ოქუშის“ სახელს ატარებდა. ვგულისხმობთ ლამბერტის შემდეგ ცნობას: „ოქუშის იქით ეგრისია (Echalis) და ეგრისის იქით – მოქვისწყალი“ (ლამბერტი 2011: 201).

საინტერესო საკითხზე მსჯელობა მოცემულია ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომში. სახელგანთქანი მეცნიერი შენიშნავს, რომ ლეონტი მროველის მიერ მითითებულ მხარეს „ეგრის“ სახელწოდებით პუნქტის (ქალაქის, გორის) არსებობის უარყოფილი საბუთი არ გაგვაჩნია. ამის მოწმობად მას ეგრისწყალი და ინგირი მიიჩნია. პუნქტი ეგრი (გორა, თემი, „ქალაქი“), რამაც სახელი მისცა მდინარეს, ისტორიულ-გეოგრაფიულად აქ სადღაც უნდა არსებებოდა (მდრ. ბახვისწყალი, აჭარისწყალი, ხანისწყალი, ცხენისწყალი...). მაშასადამე, ლეონტის დროს არსებული გადმოცემა იმ ადგილას „ეგრის“ არსებობის შესახებ, რასაც „აწჰქვან ბედიას“, საფუძვლიანი უნდა იყოს „და რომ ეს „ეგრი“ იყო „ეგრისი“, საიდანაც ამ პუნქტის, თემის სახელი, ქვეყნის (ეგრი) სახელად იქცა“ (ბერძენიშვილი 1990: 112-113).

ქართულ მკვლევართა ძირითად ნაწილს მიიჩნია, რომ ეგრისწყალი იგივე დალიძეა. „ხოლო ეგრისის მდინარე ეწოდების დალიძეს“, – წერდა ნიკო დადიანი (დადიანი 1962: 153). ეგრისწყლისა და დალიძის იგივეობის თვალსაზრისს მხარს უჭერდა პ. ინგოროვეა, რომელიც აღნიშნავდა, რომ თვით მდინარის სახელწოდება „დალიძე“ მეგრულად სიტყვასიტყვისით ნიშნავს მოსახლურ მდინარეს, ანუ დედა კიდისა. მკვლევარმა არქანჯელო ლამბერტის მიერ მოხსენიებული Echalis გაიაზრა როგორც „ეგრისი“ და გამოთქვა ვარაუდი, რომ დალიძეს ეკუთვნის სახელწოდება ეგრისწყალი შერჩენილი ჰქონდა XVII-XVIII საუკუნეებამდე (ინგოროვეა 1954: 128, სქოლიო). დავაზუსტოთ: დალიძე უნდა გავიაზროთ როგორც „დელის კიდე“, „დელისპირი“.

მკვლევარი არჩილ ბარამიძე იმ აზრისა იყო, რომ ეგრისწყლის გაიგივება დალიძესთან დაბრუნებულად უნდა ჩაითვა-

ლოს, ვინაიდან, „...ვახუშტი არ აღნიშნავს რა მდინარე ეგრისის ახალ სახელწოდებას, მიუთითებს, რომ ეს მდინარე შავ ზღვას ერთვის ილორთან. ხოლო ილორის ახლოს, მის დასავლეთით, როგორც ცნობილია, მართლაც მოედინება მდ. დალიძე“ (ბარამიძე 5, 1963: 104).

თ. ბერაძე ვრცლად მიმოიხილავს ეგრისის ლოკალიზაციის შესახებ არსებულ ისტორიოგრაფიას, მათ შორის ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებულ მკვლევრებს (დევიტ ბატონიშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი, ნიკო დადიანი, მარი ბროსე, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროვეა, ა. ბარამიძე და სხვები), და ადრეანტიკური ხანის წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური აღმოჩენების გათვალისწინებით, ამტკიცებს, „რომ ლეონტი მროველის ეგრისწყალი სწორედ დღევანდელი ენგურია და პუნქტი ეგრისის მის ნაპირზეა საძებნი“ (ბერაძე სიგ. III, 1967: 141).

ქართული წერილობითი წყაროების „ეგრისწყლის“ ლოკალიზაციის საკითხს შეეხო დ. მუსხელიშვილი, რომელმაც მართებულად მიიჩნია მკვლევარ თ. ბერაძის მოსაზრება ენგურის სახელის „ეგრ“ ფუძესთან დაკავშირებისა და მეგრელების პირველსაცხოვრისად წარმოადგენის შესახებ (იქვე: 140), მაგრამ „ენგური“//„ეგური“ და „ეგრისწყალი“ ერთი და იგივე რომც იყოს, დ. მუსხელიშვილის მართებული აზრით, „ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ქართული წყაროების „ეგრისწყალი“ იგივე დღევანდელი ენგურია“ (მუსხელიშვილი I, 1977: 107). თავისი მოსაზრების გასამყარებლად მეცნიერი იშველიებს იმ არგუმენტს, რომ ვახუშტისათვის ენგური და ეგრისის წყალი აშკარად განსხვავებულია (იქვე). და მართლაც, ბატონიშვილს ამ ორი მდინარის იგივეობაზე რომ ეფიქრა, მაშინ თავის ნაშრომში ეგურსა და ეგრისწყალს ცალ-ცალკე როდი მოიხსენიებდა. ასევე ვახუშტის რუკებზე ჩვენთვის საინტერესო მდინარეები დატანილია შემდეგი თანმიმდევრობით: ეგურისწყალი (ენგური), დადიწყალი, ეგრი (ილორის აღმ-ით). მაშასადამე, იგი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან ეგრისწყალსა და ეგურს (ენგურს).

საინტერესოა პიდრონიმ „დალიძის“ ეტიმოლოგიაზე მკვლევართა დაკვირვებაც, როგორც ზემოთ აღნიშნულ, პ. ინგოროვეას სახელწოდება „დალიძე“ ესმოდა როგორც „დედე კიდისა, მდინარე საზღვრისა“ (ინგოროვეა 1954: 128). ეს მოსაზრება გაიზარა თ. ბერაძემაც და აღნიშნა, რომ კიდე-მდინარის აღმნიშვნელი სახელი „დალიძე“ საფიქრებელია წარმოადგენდა ცხუმისა და ოდიშის საერისთავოს შორის საზღვარს (ბერაძე სიგ. III, 1967: 168).

პ. გოგიას ვარაუდით, ეგრისწყალს და მიმდებარე სოფელ ეგრისს დალიძე-დალიძე შუა პოლიტიკური მნიშვნელობით (განაპირა, საზღვარ-მდინარე) მას შემდეგ უნდა დარქმობოდა, რაც აფხაზეთის მთავრებმა ტერიტორია დაიპყრეს და გაიფართოვეს ამ ეგრის-წყლამდე. ერთი ქართველური სახელწოდების შეცვლა მეორეთი, ავტორის აზრით, 1650-იან წლებში უნდა მომხდარიყო (გოგია 3, 1990: 81).

პ. ცხადაია გამოხატავს კრიტიკულ დამოკიდებულებას დალიძის სახელწოდების „სახლავარ-მდინარე“ გააზრებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მართებულად მიიჩნევს, რომ აფხაზეთის მიერ ააღზად წოდებული დალიძე ლექსიკურად, სტრუქტურულად და ნომინაციის ტრადიციითაც მეგრული ტოპონიმიკური სისტემის კუთვნილებაა. მკვლევარი თვალსაზრისს იმ გარემოებას, რომ დალიძე თავდაპირველად ადგილმდებარეობის, კერძოდ, დასახლებული პუნქტის სახელი უნდა ყოფილიყო, რაც დასტურდება ისტორიული წყაროებითაც (ცხადაია 2004: 41).

ი. ყოფშიძის განმარტებით „დალიძე“ სიტყვასიტყვისით ნიშნავს მდინარის ნაპირს – (ყოფშიძე 1994: 577) და ეს სახელი თავდაპირველად სოფელს უნდა დარქმობოდა. პ. ცხადაია ლექსიკურ-გრამატიკული და მოტივაციის თვალსაზრისით, მართებულად მიიჩნევს პიდრონიმ „დალიძის“ ყოფშიძისეულ განმარტებას და საკვლევი ტოპონიმის ახლებური ეტიმოლოგიისაგან თავისი იქვე იმომუშავს გონელი არახამიას მოსაზრებას. ბატონი გონელიც, ი. ყოფშიძის განმარტების დამოწმებით, იმ აზრისაა, რომ დალიძე დასახლებული

პუნქტის – აწინდელი ბესლახუბას ძველი სახელწოდებაა. სოფლის სახელი შემდეგ მდინარეზე გადავიდა. ამდენად, გ. არახამიას მოსაზრებით, „დალიძე“ ეტიმოლოგიურად საზღვრის, მიჯნის ცნებას არ უკავშირდება. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მტკიცებულებების ფაქტიც, რომ დალიძე XVIII ს. დასაწყისამდე არც ეთნოგრაფიულ და არც პოლიტიკურ ერთეულებს შორის სასახლურ მდინარე არ ყოფილა (არახამია 1998: 192-202; ცხადაია 2004: 41-42).

პ. ცხადაია იმომუშავს ძეა „ნაპირი“ მეტაფორული გეოგრაფიული ტერმინის შემცველ სამეგრელოს მიკროტოპონიმურ მასალას (დალიძე „დელისპირი“, დაინაძე...) და დასკვნის: სახელწოდება დალიძე მეტონიმის გზით (ავტონიმი->ოიკონიმი->ჰიდრონიმი) უნდა წარმოქმნილიყო. ამას მოწმობს ისტორიული წყაროებიც. მაშასადამე, დასკვნის მკვლევარი, დასახლებული პუნქტის სახელი ეწოდა იმ მდინარეს, რაც მას ჩაუდიოდა (ცხადაია 2004: 45).

დალიძის სახელწოდების „სახლავარის“ (თუ სასახლავარის) დედეგა გააზრების უმართებულობის მიუხედავად, ვფიქრობთ, ხელი არ უნდა შეგვეშალოს იმაში, რომ ჯუანშერის, ლეონტი მროველისა და ვახუშტის მიერ რამდენიმეჯერ (სხვადასხვა სიტუაციაში) მოხსენიებული „ეგრისწყალი“, „ეგრის მდინარე“ დალიძის უწინდელ სახელწოდებად გავიაზროთ. ამ კუთხით მეტად საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ლამბერტის რუკაზე, ოქუშსა და მოქვისწყალს შუა გამოსახული მდინარე იწოდება Echalis-ად. ამავე მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ეკლესიის პირობითი ნიშნით მონიშნულია Echalis-გას, რაც, საფიქრებელია, რომ სწორედ დასახლებული პუნქტის სახელწოდების – დალიძის (აწინდელი ბესლახუბა) შესატყვისი უნდა იყოს (ცხადაია 2004: 44-45).


ლამბერტის რუკაზე აღნიშნული EEchalis პ. ინგოროვეამ გაიაზრა როგორც „ეკარისი“ (ეგრისი), და გარეგნულ მსგავსებაზე დაყრდნობით გამოთქვა ვარაუდი, რომ დალიძეს ძველი სახელწოდება ეგრის-წყალი შერჩენილი ჰქონდა XVII-XVIII საუკუნეებამდე (ინგოროვეა 1954: 128, სქოლიო). საქმე ისაა, რომ ლამბერტის რუკაზე, ოდიშის დასავლეთ ნაწილში, მდინარის სახელწოდებად მკაფიოდ იკითხება Echalis, ხოლო ამ მდინარის მარჯვენა ნაპირას – ეკლესია Echalisgas (დალიძე).

„ეგრისწყლისა“ და დალიძის იდენტურობაზე ვრცლად მსჯელობა იმისთვის დაგვიტოვდა, რომ თვალნათლივ დაგვეჩინა, თუ დღემდე რაოდენ აქტუალური იყო ფასეული თანამედროვე ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პიდრონიმის ლოკალიზაციის გარკვევის საკითხი. ამასთანავე, ეგრისწყლის დალიძესთან იგივეობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების მართებულობა დაგვეჩინა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი და წერილობითი წყაროებში მოცემული კიდევ ერთი ბუნდოვანი ცნობის, კერძოდ, ვახუშტისეული დადიწყლის („დადის მდინარე“) იდენტურობის გარკვევაში. მისი ცნობის თანახმად დადიწყალი „გამოდის მასვე აღმოსავლეთის კაკკასსა, და მოდის დასავლეთად“ (ვახუშტი IV, 1973: 779).

თ. ბერაძის აზრით ეგრის-წყალი ხელოვნურ-ლიტერატურული ხასიათის სახელწოდებაა და მეგრული ენისათვის მდინარეთა სახელების ასეთი წარმოება უცხოა (ბერაძე სიგ. III, 1967: 140). დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ პიდრონიმები – ეგრისწყალი და ეგრე-სუ (მდინარე კლარჯეთში) ადგილობრივი მეგრულ-ჭანური სახელწოდების თარგმანს წარმოადგენს და ასეთი ადგილობრივი პიდრონიმების არსებობაზე მიუთითებს (მუსხელიშვილი I, 1977: 107).

პ. ცხადაია იმომუშავს გ. კლიმოვის ნაშრომს (კლიმოვი 1962: 99) და თვლის, რომ ქართული – ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი გეოგრაფიულ სახელებში სიტყვარმოებითი ძალის მქონეა და სადერივაციო ფუნქცია, გარკვეული ხარისხით, საფიქრებელია, რომ ქართველურ ფუძენაშენიცი ჰქონოდა. – ის ბრუნვის ნიშნის მეგრულ-ჭანური შესატყვისის წარმოადგენს – იშ, თანდართული – ი ემფატიკური ნიშნით (ცხადაია 2004: 34).

ილორო კვლევა, (გაგრძელება იქნება)



ბულგაათ რცხილაქე: „ვინ დაბოყველათ ასე მწარედ, პაი-პატრიოტებო?“



საჭიროდ მივიჩნევ, გამოვეხმაურო ბოლო დროს აგორებულ ახალ არაკეთილსინდისიერ პროპაგანდას, რომელიც ყველაზე უფრო აუცილებელ ადამიანურ გრძობაზე - მაღლიერებაზე ახდენს აპელირებას.

საუბარი მაქვს 1992-1993 წლებში აფხაზეთში ქართული შენაერთების მხარეს მებრძოლ უკრაინელებზე, რომელთა დეაწლი ახლა, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე გაახსენდათ საქართველოში ზოგიერთებს (ამ დროს კი აფხაზეთის ომის ქართველი ვეტერანების დიდი ნაწილი უკრაინაში გასაჭირშია და ეს არავის ახსოვს). ამ ზოგიერთების აზრით, ქართველებმა სოლიდარობა უნდა გამოუცხადოთ კივს და თვალები დავხუჭოთ ყველაფერზე, მათ შორის, სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლებისათვის უკრაინაში სასაბურთე პირობების შექმნაზე. მეტიც, რუსეთი ხომ ჩვენი „მტერია“. უკრაინელები, მაშინ, ჩვენთან ერთად თურმე „რუსეთს ებრძოდნენ“.

საქმეც სწორედ ეს არის - ისინი რუსეთს ებრძოდნენ, რუსეთთან საბრძოლველად იყვნენ ჩამოსულნი. საქართველოს ბედი, როგორც ასეთი, მათთვის არ იყო საინტერესო. აფხაზეთის ომში მონაწილეობდა რამდენიმე (ან რამდენიმე ათეული) უკრაინელი ნაციონალისტი, რადიკალური „უნა-უნსო“ წევრი. ისინი არასოდეს მალავდნენ, რომ რუსეთის დასასუსტებლად იბრძოდნენ. სხვათა შორის, იგივე „უნა-უნსო“ მოგვიანებით ჩეჩნების მხარესაც ომობდა - იმ ჩეჩენი ბოვეიკების მხარეს, რომლებსაც იმავე აფხაზეთში მშვიდობიანი ქართველების სისხლში შჭონდათ ხელები ნაბანი.

ინტერნეტში ვრცელდება აფხაზეთში 1992 წელს დაღუპული 19 წლის უკრაინელი მებრძოლის დაკრძალვის კადრები, რომელსაც მამამისი დასტერის. ამ ფაქტს დასავლეთის მიერ მართული პროპაგანდა ქართველებში ანტირუსული და უკრაინელი ნაციონალისტების სასარგებლო განწყობების გასაღვივებლად იყენებს. ვიდეოკადრების ავტორი მოუწოდებს ქართველებს, სოლიდარობა გამოუცხადონ უკრაინელ ხალხს, რადგან უკრაინელები თურმე გასაჭირის დროს დაგვეხმარნენ.

კეთილი და პატიოსანი. მეც მივიჩნევ, რომ მიუხედავად „უნა-უნსო“ წევრების კონკრეტული მოტივისა, ეომათ აფხაზეთში, ჩვენ გულწრფელად მაღლიერები უნდა ვიყოთ მათი, რადგან ისინი ქართველების მხარეს იდგნენ. ეს მართალია. ოღონდ არ შეიძლება, სახელმწიფო ინტერესები დაუქვემდებაროთ ემოციებს. მაგრამ ესეც არ არის ახლა მთავარი. თუკი მორალის

კატეგორიებით ვიმსჯელებთ, მაშინ მივმართავ ქართველ ვაი-პატრიოტებს, რომლებიც უკრაინისადმი სოლიდარობას ითხოვენ რამდენიმე დაღუპული უკრაინელი ნაციონალისტის გამო და ამ დროს უზარმაზარი დეაწლი, რომელიც რუსმა ჯარისკაცებმა ორასი წლის მანძილზე გახსიეს საქართველოს ისტორიაში, დავიწყებული აქვთ.

იცით, რამდენი რუსი ჯარისკაცი შეეწირა სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლებას?! იცით, რამდენი რუსი ჯარისკაცი დაიხოცა აჭარის და ტაო-კლარჯეთის გამოსახსნელად?! სხვა თუ არაფერი, სწორედ რუსი ჯარისკაცის დამსახურებაა დასავლეთ საქართველოში მონობით ვაჭრობის - სამარცხენო „ტყევის სყიდვის“ ამოძიკვა! ქრისტიანობა და ქართველობა სწორედ რუსეთის მეშვეობით გადარჩა - ილია ჭავჭავაძის „ასის წლის წინათ“ მაინც წაგვეთხათ, ფარისევლებო!

არ იცით და არც გინდათ, იცოდეთ! ეს კი უდიდესი უმადურობაა. თქვენისთანების გამო არ უნდა რცხვენოდეს ქართველ კაცს რუსების წინაშე, არ უნდა გვექონდეს უმადური ხალხის სახელი! ამიტომაც გეკითხებით: ვაი-პატრიოტებო, ვინ დაგვეყვებათ ასე მწარედ, რომ ამხელა უმადურობას ავლენთ?!

ქართველი ხალხი მაღლიერია, არ დაივიწყებს არავის დეაწლს. სწორედ ამიტომ შეუწყო ჩვენმა ორგანიზაციამ ხელი აჭარაში, სოფელ ხუცუბანში, სააკაშვილის ავადსახსენებელი რეჟიმის დროს იავარქმნილი სამო სასაფლაოს რეაბილიტაციას, სადაც ციხისძირის ბრძოლაში (1878 წლის

იანვარში) დაღუპული, აჭარის გათავისუფლებას შეწირული რუსი ჯარისკაცები განისვენებენ. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ აჭარის, ისევე როგორც მანამდე სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლებისას, ქართული შენაერთები რუსების გვერდზე მამაცურად იბრძოდნენ. ისინი ერთგულნი იყვნენ რუსეთის იმპერატორისადმი მიცემული ფიცისა, ამავე დროს კი სამშობლო-საქართველოს ინტერესებს იცავდნენ. მაღლობა ღმერთს, რომ ეს გენეტიკურად ასოვს ნამდვილ, ხალას ქართველ კაცს, როგორებიც მე მრავლად ვნახე ხუცუბანში და მეგულება საქართველოს ყველა კუთხეში, ყველა ქალაქსა და სოფელში.

ახლა იმასაც იტყვიან: თუკი უკრაინელი ნაციონალისტები რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაშინ რუსი ჯარისკაცებიც რუსეთის იმპერიისთვის და არა საქართველოს სიყვარულით იბრძოდნენო. მათ ვუპასუხებ: დიახ, იმპერიის ინტერესებისათვის იბრძოდნენ, მაგრამ, ჯერ ერთი, რუსი, (ისევე როგორც უკრაინელი და ნებისმიერი სხვა), არ არის ვალდებული, იბრძოდოს ნაციონალისტურად გაგებული საქართველოს ინტერესებისათვის, და მთავარი: ამ იმპერიის იდეალები იყო ქრისტეს სჯული და მართლმადიდებელი ხელმწიფის ერთგულება, რაც საეხებით მისაღები იყო (და უნდა იყოს!) ყველა ნორმალური ქართველი ადამიანისათვის. დაბოლოს, აჭარაც და სამცხე-ჯავახეთიც, როგორც ვიცით, საქართველოს დარჩა, იგი არც იმპერატორს წაუღია იმკვეყნად, არც ლენინსა და სტალინს.

საქინფორმ

საქართველო დღევანდელ დღეს ყველაზე მეტად მამულიშვილების ნაკლებობას განიცდის

„მამულიშვილის გვირგვინი მამულის სამსხვერპლოზე ჰკიდა“

წმიდა კათალიკოსი პირონი (საბაბლიშვილი)

ის დანაკლისი, რაც საქართველომ მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას სიკვდილით განიცადა უსახლგოა. უსახლგოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აღარ არიან ამკვეყნად, არამედ კიდევ იმიტომ, რომ ქვეყანას ორი ბუმბერაზი მამულიშვილი წაართვა ჩვენი ქვეყნის მტერმა და ერისკაცობის მაგალითი ხელიდან გამოაცალა მომავალ თაობას. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ამ ორ რაინდს მრავალი თანამებრძოლი ჰყავდა ერში. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, გულშემატკივარ სულიერ მამათა არცთუ ისე დიდი რაზმი გახლდათ. სწორედ მათ შორის იყო ზვიადისა და მერაბის სამშობლოს იდეალების მატარებელი აწ განსვენებული მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი). განა შეიძლება ქრიატიანმა ერმა აწარმოოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა და მის გვერდით არ იბრძოდეს სულიერ მამათა ლაშქარი, რომელიც მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიის მანძილზე ბრძოლის წინ თუ ბრძოლის ველზე ამხნევებდა უთანასწორო ომში წასულ ვაჟკაცებს. უდიდესია მეუფე თადეოზის დეაწლი დეთისა და ერის წინაშე. მან როგორც სასულიერო პირმა და ქრისტეს მსხდარმა საქართველოსათვის ყველაზე მძიმე ჟამის ერის სათაყვანებელ გამრებთან არჩია დგომა, რითაც ქრისტეს სიტყვა არა მხოლოდ თეორიულად, არამედ საქმით განხორციელებული, მიუტანა თავის საყვარელ ქართველ ხალხს. იგი მუდამ იყო იქ, სადაც სამშობლოს ვარამბედობის მძიმე ჟამი იდგა და თავისი ამაღლებული პოეტური სიტყვით ამხნევებდა სამშობლოს ტკივილით დაწყლულებულთა გულებს. გარდა მისდამი უდიდესი მოწიწებისა მის გარშემო მყოფი ადამიანები მისგან უდიდეს სიყვარულსა და თამბაბლობის გაკვეთილებს ეზიარებოდნენ და იგი, როგორც სასულიერო იერარქი დაწარული ქართული ეროვნული სულის, თავისი ქვეყნის ჭირისუფალი გახლდათ. მან ჩვენი ქვეყნის ბოლო ოცდარწლიანი მძიმე ბედუკუდმართობა საუთარი მხრებზე გადაიტანა და მამულიშვილის სახელი დაიმსახურა ქართველ ერში. ამიტომაც მას ქართველი ხალხი ყოველთვის მოიხსენებს, არა მარტო მთავრეპისკოპოსად...

მეფეუო, თქვენ იდექით იქ, სადაც ეროვნული სულის ცეცხლი ჩაუქრობლად ანთია და ენთება მარად. ესწრებოდით ჭეშმარიტად ქართული ხალხური პოეზიისა და ფოლკლორული სადამოებს, სადაც არა პომპეზურობა, არამედ სამშობლოზედ უზომოდ შეყვარებულ ჩრდილში მყოფ ახალგაზრდობას და დევნილ ქართველ პატრიოტებს, თქვენი გვერდზე ყოფნით მუდამ ამხნევებდით. თქვენ უკანასკნელად ბრძანდებოდით თქვენი საფიცარი

ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას სადამოზე 13 ოქტომბერს, მისი მკვლელობიდან 25 წლისთავზე. თქვენთვის, მერაბ კოსტავას სიტყვების დარად, „ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო“, და „საქართველო იყო თქვენი საფიცარი სახელი“. თქვენ მიბრძანდებით და თან მიგაქვთ ჯავრი ჩვენი მრავალტანჯული და ქართული სულის მტერთავან ცხადად დევნილი სამშობლოსი.

„ქართლის წყლულთა მოზარევ“, საქართველოს ეკლესიის მთავარეპისკოპოსო, მსუბუქი ყოფილიყოს დიდ მამულიშვილთა ძვალთშესაღავი, სიონის ტაძრის წმიდა მიწა, მეუფეო თადეოზ!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების - უზენაესი საბჭოს ადღგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

ბიორბი კაპკასიევი (კმრვალიშვილი), კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;

ბესო(ბესარიონ) მიძაბა, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;

გვგდელი ილარიონი (ჯანელიძე);

ნანა კახიანი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;

ზურაბ ძოპალია, ჟურნალისტი;

ნუზუარ კოპახიძე, ადამიანის უფლებადამცველი;

მანანა ჯიჯვიშვილი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-სამსახურის წევრი;

ბობი სოილაშვილი, პოლიტდევნილი;

გზია ბაშრაძე, დევნილი ჟურნალისტი;

ვალტარ ონიბაძა, პოლიტდევნილი;

ბრიბოლ ბოშვირაძე, მოძრაობა „ძლევაი საკვირველის“ დამფუძნებელი; თბილისი, 2015, 22 იანვარი

2015 წლის 19 იანვარს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მეუფე თადეოზი, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის ყოფილი მღვდელმთავარი. 2013 წლის ოქტომბრიდან ტიტულარული ეპისკოპოსი (ეპისკოპოსი ეპარქიის გარეშე) მარაბდელი მიტროპოლიტის წოდებით.

1966 წელს დაამთავრა გორის რაიონის სოფელ ქვეშის საშუალო სკოლა. 1968-1973 წლებში სწავლობდა გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგურ ინსტიტუტში ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1973-1974 წლებში მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად გორის რაიონის სოფელ ქვეშის საშუალო სკოლაში.

1974-1977 წლებში სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. სკოლის ახალგაზრდა პედაგოგის მცხეთის სასულიერო სემინარიაში წასვლა მტკივნეულად აღიქვა მაშინდელმა ხელისუფლებამ.



ალექსანდრე შენბელიას

ორი სათრეველი ტურა-მიხოს აბენტურა



გადათრეულზე – დოსიეთი და ფოტოლოკუმენტაციით

ბ ა ს ტ ა!

ის, რაც მოხდა, უკვე ფარდის უკან არის, მაგრამ გვახსოვს, გეწამებ რომ უკანაღი მათავსა ბოთლში პასტა და რქუა: ბას-ტა! ხიხო-მიხოს უყვარს მსგავსი ქაჯობა; სხვა რა გზა აქვს? რქიანისთვის რქა სჯობია! დღეს, როდესაც უკრაინის ლეწვაზეა. „ფიურერის“ გვერდით ვა გეწამება, ნაც-ბაცანა – ნამგლევი და ნატურალი, ბოთლზე მჯდომი და ნაგუბერნატორალი. პამპულაა, ისეთი, რომ ვამბობთ: „მტრისას!“ მაინც დასვეს მოადგილე მინისტრისა. რას უპირებს უკრაინას? სწორედ იმას, ზუსტად იმას, რაც იმერეთს უქნა წინათ! უკანაღი კვლავ ჩააგდებს ბოთლში პასტას და კიევიც იტყვის „ბას-ტა!“

არ იფიქროთ, უკრაინა მიშასია, ორი „ბიბა“ რომ თამაშობს, იმ შანსშია, და სახელით ემატება იმ შავ სიას, ვინც „ცოცხოსნის“ აუურსა და ნიშანშია. არა გჯერათ? აგერ ის და აგერ ტურა, მიხოს ბიჭიც და იმისი აგენტურაც!

„რეფორმატორის“ საქმენი საიმერეთონი

ჩვენმა მოძვე უკრაინელმა ხალხმა აუცილებლად უნდა იცოდეს, მათ ქვეყანას ვინ და რატომ შეაჩენა იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ გია გეწამე, რომელმაც თავისი ხანმოკლე და აშკარად უღლეური გუბერნატორობისას იმერეთს თავი ერთადერთი „რეფორმით“ დაამახსოვრა: უკანაღის საჯარო ქიციებით ბოთლში პასტა ჩააგდო!

დღემდე დაუვიწყარი ეს „მოვლენა“, რომელიც ფორზეც დააფიქსირეს, მის ავტორს არა მარტო საქალაქო, საოლქო და უზენაეს სასამართლოებში იურისტების მიერ საგანგებოდ აბურღული საქმის გარეგანად და მრავალწლოვან დევნად, არამედ როგორც მას, ისე მისი ოჯახის წევრებს ღამის სიცოცხლის ფასად და იმ პირობის დადებად დაუჯდათ, რომ მომავალში ამ მამხილებელ ფოტოებს არა თუ თვითონ არ დაბეჭდავენ, არამედ თუ ვინმე სხვა უკრაინისტი გაბედავდა მის გამოქვეყნებას, კოლეგას საავტორო უფლების დარღვევის გამო უჩივლებდნენ.

აი, როგორი „რეფორმის“ თანავეტორია ერთ-ერთი ჩვეულებრივი მარიონეტი – ოკეანის გადაღმელთა მიერ „დემოკრატიის შექმნად“ აღიარებული სწორედ იმ მიხეილ სააკაშვილისა, რომელმაც მსოფლიოს თვალში წაიკარა შეაყარა და, მიუხედავად მდლის დენის უამრავი საგანგაშო ფაქტისა, ურცხვად გაჰყვიროდა, რომ პრესის

თავისუფლების მხრივ „ცოცხოსნების“ მიერ წამებული საქართველო პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე გამორჩეულ ადგილზეა.

საუბედუროდ ძველი ჭრილობები ჯერ კიდევ არ არის მოშუშებული. ამის თვალნათლივი მაგალითია არა მარტო ნაციონალთა „სამართლებრივი მანქანის“ შემოსხენებული აბრუნდი, არამედ თუნდაც კოსტავასა და ხოშარაულის ქუჩებზე პერიოდული პრესის ის კორპუსები, რომლებიც რედაქციებს წაართვეს და გაუყიდეს, მაგრამ არაფერს აკეთებს, რათა ჟურნალისტებს წართმეული დაუბრუნოს.

ტაბუდადებული მამხილებელი ფოტოების გამოქვეყნებას დღესაც ვერ ბუღავენ ნაციონალთა „იურისტთა კორპუსის“ მიერ დატერორებული ფოტოჟურნალისტები.

არც გაემტყუნებათ! სავალალო მაგალითი თვალწინა აქვს: დალის ხეობის გმირი დამცველის – ემზარ კვიციანის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი მსჯავრი! და არა მარტო ეს! საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი სანდრო გირგვლიანის დედა და სულ ახლახან შვილის საფლავზე ტერორისტის მიერ ღარნაკში ჩადებულ ნაღმზე აფეთქებული



ზურაბ ვახაგაშვილის მამა! ამიტომ, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სამართლებრივი მანქანა ჯერ კიდევ ხშირად ჭრის და კერავს ძველებურად, ხოლო ტერორისტები ასე უღმობლად უსწორდებიან პატიოსან ადამიანებს, მორალური უფლება არა გვაქვს, განსაცდელში ჩავაგდოთ ჩვენი უმცროსი კოლეგა და იძულებული ვართ, „დიდი რევორმატორის“ საქმენი „საიმერეთონი“ მკითხველებს ამჯერად ჩვენი სათრეველებით შევასხენოთ.

ავტორი

ავტორისეული ბოლოთქმა

მიხოს ბიჭმა მალაო, მე კი ვამბობ: არაო, ამას ვერ დაგმალავო, რადგან კარგად ვიცი რა უნდა მოსპოს სიცილმა!

ალექსანდრე შენბელია, იპოლიტე ხეიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის წევრი, „აია“-ს აკადემიის წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე



“მოგონებანი ბარდასულ დღეთა”



ბრიზა ბოცირიძე, ნიკოზა წამრთელი, ბარდას ბიჭაძე, ალიოზა წამრთელი

ალბათ ჩვენს მკაცრსა და მტკივნეულ დროში ერთ-ერთი ყველაზე საფრთხილო საკითხია წარსულ ადამიანთა ხსოვნისადმი მიძღვნილი წერტილის დაწერა.

წინა კაცი უკანა კაცის ხილიაო, – ამბობენ. დღეს, როდესაც განათლების სფეროში ამდენი რეფორმა ხორციელდება, როდესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მომავალი თაობის აღზრდის საკითხი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სფეროს წარსული გმირების გახსენება.

ერთ-ერთი მათგანია ვარლამ ბიჭაძე – დავაწმოსილი პედაგოგი, სახალხო განათლების თვალსაჩინო ორგანიზატორი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

ამ მშრალი ტიტულის მიღმა ცვეცხლოვანი გულის მქონე ადამიანი იმალება. დაბადებულია 1901 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკეთში, დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიუღია. წარმოდგინეთ, მშობლიურ წიადში აღზრდილი ჭაბუკი, რომელსაც გული პედაგოგობისკენ მიუწვედა. მან სწავლა ჭიათურის მაშინდელ უმაღლეს დაწყებით

სასწავლებელში განაგრძო, შემდეგ კი 1919 წელს ჩაირიცხა ახალგაზსნილ გიმნაზიაში. 23 წლის ვარლამ ბიჭაძე კი მასწავლებლობას იწყებს სოფელ კორბოულში.

უცნაურია ადამიანის ცხოვრების გზა, ჩვენ კი ამ მშრალი ფაქტების მიღმა შეგვიძლია დავინახოთ ენერგიული, სწავლას-მოწეული მიზანსწრაფული ახალგაზრდა. მართლაც ერთ წელიწადში იგი სწავლას აგრძელებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე. ამ პერიოდში ოჯახდება მშენებელ ქალბატონ, პედაგოგ კერა მაჭარაშვილზე, შეეძინათ ორი შვილი მედეა ბიჭაძე – ექიმი რომელსაც ერთ-ერთმა მადლიერმა პაციენტმა, მწერალმა ალექსანდრე (საშა) ვუტშიამ მიუძღნა პიესა „სიცოცხლის ტქმ“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა ორმოცდაათიან წლებში სანკულტურის თეატრში და ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი ვარლამ ბიჭაძე იყო. მეორე შვილი ნოდარ ბიჭაძე – დამსახურებული გეოლოგი იყო.

ვარლამ ბიჭაძემ უნივერსიტეტი 1929 წელს დაამთავრა. ამის შემდეგ იწყება მისი ცხოვრების უფრო რთული, საპასუხისმგებლო ეტაპები: მუშაობდა ლაგოდეხის ქართული შვიდწლედის ისტორიის მასწავლებლად, გურჯაანის პედაგოგიურ ტექნიკუმსა და მასთან არსებული შვიდწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, ჭიათურის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, ჭიათურის რაიონის განათლების სასკოლო ინსპექტორად, ხოლო შემდეგ განყოფილების გამგედ.

1943 წელს დააწინაურეს საქართველოს განათლების სამინისტროს საგვემო-საფინანსო სამმართველოს უფროსად, სადაც ათი წელი იმუშავა, შემდეგ კი მე-20 საშუალო სკოლის დირექტორი, მაშინდელი ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, 36-ე საშუალო სკოლის დირექტორი, 1966 წლიდან კი პერსონალური პენსიონერია. იგი სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით, ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მიუხედავად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა სიცოცხლის ბოლომდე ზრუნავდა მშობლიური სოფლის კეთილდღეობაზე. გარდაიცვალა 1985 წელს. მისი ყოფილი მოსწავლეების უმეტესობა შემდგომში გახდნენ ცნობილი მეცნიერები, რეჟისორები, მსახიობები, საზოგადო მოღვაწეები, სხვადასხვა სფეროს წამყვანი სპეციალისტები, რომელთა გვარების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

უცნაურია, მაგრამ ამ მშრალი ფაქტების მიღმა მარტო ერთი მშრომელი პატრიოტი ადამიანის ცხოვრება კი არ ჩანს, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი ფრაგმენტიც. ამგვარ წარსულს კი რაც მეტს გავიხსენებთ, მომავალი უფრო მკაფიოდ გამოჩნდება.

p.s. მასალა პუბლიკაციისათვის მოგვაწოდეს ვარლამ ბიჭაძის შვილი-შვილებმა – ექიმმა მარინე კლანდარნიშვილმა (რომელიც პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა თბილისის უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში, ამასთანავე არის მრავალი სამედიცინო სტატიის, შრომების და სახელმძღვანელოს ავტორი) და ინგლისური ენის სპეციალისტმა ია ბიჭაძემ. სტატიის გამოქვეყნების ინიციატორი იყო ვარლამ ბიჭაძის აღზრდილი და ყოფილი მოსწავლე, რომელიც შვილად მიანდა, აწ გარდაცვლილი, გახუთ „ილორის“ აქტიური ავტორი, ინჟინერ-გეონომისტი ლეონტი ბიჭაძე.

უკრაინაში ღიად ბანაცხადუს, რომ დონბასის წინააღმდეგ ქართველი დაქირავებული მებრძოლები იბრძვიან

ქართველმა გენერალმა, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ყოფილმა უფროსმა, გენერალმა გიორგი კალანდაძემ განაცხადა, რომ ახლა ქართველები უკრაინის მოხალისეთა ბატალიონების შემადგენლობაში იბრძვიან.

ამის შესახებ მან ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა კიევიდან ჩართვისას.

„ჩვენი თანამემამულენი აქტიურ მონაწილეობას იღებენ უკრაინული არმიის სპეცდანაყოფებში“, – განაცხადა კალანდაძემ.

მისი თქმით, უკრაინა ფულს არ უხდის ქართველ დაქირავებულ მებრძოლებს. მათ ოჯახები და მეგობრები ინახავენ საქართველოდან.

სამშობლოში დაბრუნების თაობაზე კითხვაზე პასუხისას, კალანდაძემ განაცხადა, რომ ჯერჯერობით თავს იკავებს ამ ნაბიჯისგან, რადგან საქართველოს პროკურატურას მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა აქვს განზრახული, რისთვისაც უკვე დაიკითხა 100-მდე მოწმე.

შეგახსენებთ, რომ, როგორც ადრე იტყობინებოდნენ საქართველოს შს სამინისტროში, მისი მოქალაქეები, რომლებიც „ტერორისტთა წინააღმდეგ დონბასში იბრძვიან“, ამისათვის არ დაისჯებიან.

ასევე შეგახსენებთ, რომ „ქართველი დაქირავებულები“ უკრაინაში არა მარტო ფრონტზე, არამედ ქვეყნის მთავრობაშიც აღმოჩნდნენ. ამასთან, უკრაინის ხელისუფლება განაგრძობს მთავრობაში სააკაშვილის გუნდის წევრების მიპატივებას და მათი დახმარებით ქართულის ანალოგიური რეფორმების გატარებას იმედოვნებს. ამასთან, „მიხოს რეფორმატორთა“ გუნდის ბევრი წევრი ძებნაში იმყოფება ამა თუ იმ დანაშაულისთვის საკუთარ სამშობლოში.

სამხედრო

ქირიას ბლოგი

რა დანიშნულება აქვს „პრეზიდენტის სასახლეს“ ზუბდიდში?

ათობედ წლის წინ საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით ზუგდიდში ბოტანიკური ბაღის მიმდებარე პოლიტექნიკური კოლეჯის ტერიტორიაზე აშენდა პრეზიდენტის სასახლე „მეგრული ოდა“. 2005 წელს პოლიტექნიკური კოლეჯის ხელმძღვანელობას განათლების სამინისტროდან მოუვიდა შეტყობინება კოლეჯის ტერიტორიიდან პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობისათვის 3410 კვმ ფართის დათმობის თაობაზე. კოლეჯმა ეს ფართი იმ პირობით დათმო, რომ სახელმწიფო მათ აუნაზღაურებდა იმ უძრავი ქონების საფასურს, რომელიც განადგურდა რეზიდენციის მშენებლობის დროს. ეს იყო სასწავლო სახელოსნოები, საორტული კომპლექსი, საქვაბე მუხრანობა და სხვა. თუმცა კოლეჯისათვის არავის არაფერი არ აუნაზღაურებია, უფრო მეტიც ორი წლის შემდეგ კოლეჯი დახურეს, გააუქმეს და შვიდ წელზე მეტია პოლიტექნიკური კოლეჯის 4-სართულიანი შენობა 4333 კვმ. ფართობს გააპარტახებული და განანაგებულია. მეპატრონე კი გახლავთ ეკონომიკის სამინისტრო.

რაც შეეხება პრეზიდენტის სასახლეს – აღნიშნულ ადგილზე უმოკლეს ვადაში აშენდა ამ რეზიდენციის მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარებაში, ანუ პრეზიდენტის თანდასწრებით, ამ „მეგრული ოდაში“ უნდა გამართულიყო შეხვედრები აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ენგურს გადმელ-გამოდმელბობა, თუმცა, ეს იდეა იდეად დარჩა და მიხედვით სააკაშვილი 2-ჯერ თუ 3-ჯერ ეწვია მხოლოდ ამ სასახლეს. ხოლო მას შემდეგ რაც 2008 წელს ამ სასახლეში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალი ჩაბანი დაბინავდა რამდენიმე ხნით, ხოლო სააკაშვილი ამ სასახლეს საერთოდ არ გააკარებია. მისი გაყიდვის თაობაზე ბრძანებაც კი გასცა, თუმცა ისეთი ფასი დაადო მყიდველი დღემდე არ გამოჩენილა.

საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა კი არც იცის სად მდებარეობს ე.წ. პრეზიდენტის სასახლე ზუგდიდში, რომლის აშენებაც კოლოსალური თანხები დაჯდა. სასახლე დღემდე უფუნქციოდ და 10 წელია მის შენახვას და მომსახურე პერსონალს ბიუჯეტიდან დიდძალი თანხა ერიცხება. არადა რატომ და რისთვის იხდიან ამ თანხებს გაუგებარია. ასევე გაუგებარია თვით ამ ე.წ. სასახლის დანიშნულებაც, რომელიც დღემდე ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაშია.

მას შემდეგ რაც ზუგდიდი ორად გაიყო და შეიქმნა ქალაქის მერია და საკრებულო, ქალაქის მესვეურები ცდილობენ „მეგრული ოდა“ დაათმობინონ ეკონომიკის სამინისტროს და იქ ზუგდიდელებისათვის მნიშვნელოვანი დანიშნულების ობიექტები განათავსონ.

სად „მაკრონალდსი“ და სად გუბერნია???

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში რწმუნებულ-გუბერნატორმა ლევან შონიამ სამეგრელოს საზოგადოებას საქართველოს მთავრობის ორი წლისა და რეგიონის რწმუნებულ-გუბერნატორის ერთი წლის საქმიანობის ანგარიში წარუდგინა. მისი განცხადებით ორი წლის განმავლობაში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ შეადგინა 397 მილიონი ლარი, განხორციელდა 956 ინფრასტრუქტურული პროექტი, სადაც დასაქმდა 5.000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები.

გუბერნატორის ამ განცხადებაში, ალბათ მშენებარე ამერიკული კვების ობიექტი „მაკრონალდსი“ იგულისხმებოდა, რომელიც ზუგდიდში გუბერნიის შენობის გვერდით შენდებოდა. სწორედ ამ არასწორად შერჩეულმა ადგილმა გაუნელა ზუგდიდელებს ის სიხარული რაც „მაკრონალდსის“ დამკვიდრებას უნდა მოჰყოლოდა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის-გუბერნიის შენობაში ამ სამსახურის გარდა განთავსებულია ახლად

შექმნილი ქალაქ ზუგდიდის მერია და საკრებულო. გაერცვლებული ვერსიით გუბერნიის გვერდით არსებულ მოედანს, სადაც მანქანების სადგომი იყო, თვალი დაადგა ბიზნესმენმა თემურ ჭყონიამ და მან ამერიკის გარკვეული წრეების და გუბერნატორის თანადგომით გადაწყვიტა მაინცდამაინც აქ – გუბერნიის გვერდით განეთავსებინა „მაკრონალდსი“. მან დილემის წინაშე დააყენა ზუგდიდის მერია და საკრებულო: „მაკრონალდსი“ აშენდებოდა მხოლოდ მის მიერ შერჩეულ ადგილას ან არსად. საკრებულომ არნია „მაკრონალდსის“ აშენება თუნდაც შეუფერებელ ადგილას, ვიდრე არ აშენება, ამიტომაც 15 დეკუმბრიდან 11-მა (ხმა არ მიუციათ ნაციონალებს და ბურჯანაძე-დემოკრატებს) ხმა მისცა ჭყონიას მიერ შერჩეულ ადგილას ამერიკული კვების ობიექტის განთავსებას.

მიუხედავად ზუგდიდელების გულისწყრომისა უკვე თვეზე მეტია მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. „მაკრონალდსი“ იმდენად ახლოს არის გუბერნიის შენობასთან, რომ გუბერნატორის მისი კაბინეტის ფანჯრიდან შეუძლია მიიღოს ცნობილი ჰამბურგერი, ჩიზბურგერი და სხვა ბრენდები.

ძალიან კარგია როცა რაღაცეები შენდება, მათ შორის „მაკრონალდსიც“, მაგრამ ხომ შეიძლება იმის მისთვის შესაფერის ადგილას განეთავსებინათ. ადგილების მეტი რა იყო, მაგრამ ეს ადგილები არავის მოუძიებია. იმასაც ამბობენ „მაკრონალდსის“ აშენება გუბერნიის გვერდით ამერიკაში გადაწყდა. და ამერიკის წინააღმდეგ ხმის ამოდებას კი ვინ გაბედავდა.

გუბერნიის შენობა რამდენიმე თვით სარემონტო სამუშაოების გამო ფუნქციონირებას წყვეტს და იქ არსებული სამსახურები ყოფილი იუსტიციის სახლში განთავსდება. ზუგდიდელები ხუმრობით იმასაც ამბობენ რა საჭირო იყო „მაკრონალდსისათვის“ ახალი შენობის აშენება. მისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ გუბერნიის შენობა გადაეცათ.

ლალო ქირია, ზუგდიდი

ბუნების საოცრება – საქართველოს რუკის ფორმის „ანგელოზის ტბა“

“ჩვენ, სვანები მას ანგელოზის ტბას ვეძახით. საქართველოს რუკის ფორმა ისე მიიღო, რომ ხელიც არავის უხლია”

“ანგელოზის ტბის სწამით, რომ თუ ტბაში ქვას ჩააგდებ, წვიმა წამოვა”

“ეს ტბაც საქართველოს ტერიტორიებივით პატარაა – მთხრობელთა თქმით ის ადრე ბევრად უფრო დიდი ყოფილა...”

“ანგელოზის ტბა” – ასე ჰქვია ბუნებისგან იდუმალებითა და სილამაზით დაჯილდოებული სვანეთში არსებული ტბა, რომელიც ფართო საზოგადოების ინტერესის საგანი მისი ფორმის გამოც გახდა. გარდა იმ ლეგენდებისა, რომელიც მას უკავშირდება, მას საქართველოს რუკის ფორმა აქვს. მის ფორმის ბუნებრიობაში ბევრს ეჭვიც შეეპარა და ადამიანის ხელით შექმნილი, ფოტოშპოით დამუშავებული ეგონა...

ფოტოგრაფი გოგა ჩანადირი ანგელოზის ტბის პოვნის ისტორიას გვიამბობს:

– ეს საოცარი ტბა, სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე. სვანეთში ძალიან ბევრჯერ ვარ ნამყოფი. იმ მორიგი მოგზაურობის დროს, ვფიქრობდი, კიდევ რა უნდა ვნახოთ მეტი... ერთ დღესაც ჩემ სვან მეგობართან, დათო ჯაფარიძესთან ერთად მესტიიდან 12 კმ-ში მდებარე ქორულის ტბებისკენ გავწვიე. ეს არის მესტიის აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე. იქიდან ყველაზე კარგი ხედია, მესტია ხელების გულივით ჩანს. აი, ბოლო 1 კმ რომ დამრჩა, ჩემს მეგობარს ვთხოვე, – გაჩერე, რამდენიმე ხელი უნდა გადავიღო-მეთქი. რამდენიმე კადრის აღების შემდეგ, ფერდობს რომ გავცდი, ფერდობზე ღურჯად არეკლილი წყალი შევნიშნე. დმერთო ჩემო, საქართველოს რუკას როგორ ჰგავს-მეთქი! ემოციისგან ლამის ვიყვირე. დათოს ჩემს რეაქციაზე გაეღიმა, – ჩვენ, სვანები მას ანგელოზის ტბას ვეძახით. საქართველოს

რუკის ფორმა ისე მიიღო, რომ ხელიც არავის უხლია...

ვცდილობდი, ისეთი სიმაღლე მომეძებნა, რომ ანგელოზის ტბა ხელისგულივით გამოჩენილიყო. ცოტაოდენ ტაფობშია, ანუ ჩადრმავევულ ადგილას და იქაურობა მთლიანად ლელქაშშია ჩაფლული. მივხვდი, რომ ახლოს მისვლას ვერ შევძლებდი, რადგან გარშემო ჭაობია. ტბა ერთი ციციქნაა, სულ 10 მეტრამდე იქნება. როდესაც დათოს ვკითხე, როგორ მიიღო ასეთი ფორმა-მეთქი, მიპასუხა, ასეთი ვახდა, გარშემო ლელქაშები ამ ფერით ამოვიღა... მისივე თქმით, ტბა თოვლის ნაღობი წყლებით იკვებება. წელიწადის სხვადასხვა დროს ვნახე, მაგრამ ყველაზე ლამაზი ოქტომბერშია, როდესაც ლელქაში ყვითელია და ცის ფერი ტბის წყალზე ღურჯად ირეკლება, ძალიან ლამაზად ჩანს. ზოგს ფოტოში ეგონა, ზოგსაც, ადამიანების ავტორიბით შექმნილი, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ბუნებრივად მიიღო ასეთი ფორმა.

– თქვით, რომ ადრე სხვა ფორმა ჰქონია...

– დიახ, ჩვეულებრივი, წრიული ფორმის ყოფილა. როდესაც თოვლის ნაღობი წყალი არ აქვს, ანუ ვერ იკვებება, მცირდება და ფორმასაც კარგავს. შემდეგ კი, თოვლის დნობასთან ერთად ის საქართველოს რუკის ფორმას იღებს.

ჩვენ ტბის ისტორიის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად, სვან ქალბატონს, ფილოლოგიის დოქტორს, რუსუდან იოსელიანს დაუკავშირდით:

– ადრე ამ ტბას “მთავრანგელოზის ტბა” ერქვა, ახლა კი, “ანგელოზის” ტბა შეარქვეს. უცნაურია არა მხოლოდ ის, რომ “ანგელოზის ტბა” ზუსტად საქართველოს რუკის ფორმისაა, არამედ ისიც, რომ ეს ტბაც საქართველოს ტერიტორიებივით პატარაა – მთხრობელთა თქმით, ის ადრე ბევრად უფრო დიდი ყოფილა... ადგილო-

ბრივთა თქმით, ამ ტბასთან შეხება, მასში ბანაობა, ხელ-პირის დაბანა, მითუმეტეს რამის ჩაყრა, თუნდაც კენჭის ჩაგდება არ შეიძლება. აკრძალული იყო ტბის სიახლოვეს ბალახის მოთიბვაც, უცნაურია და ტბის ახლოს გამავალ ბილიკებზე მხარზე ჯოხგადებული გაკლაც არ შეიძლებოდა... ვინც ამას გარისკავდა, უეჭველად რაიმე სიფათს გადაეკრებოდა. ან უკეთეს შემთხვევაში, ამ საკრალურ ტბასთან დაკავშირებული აკრძალვების დარღვევას საშინელი წვიმა, ჭექა-ქუხილი ან სეკვეა მოჰყვებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სვანების ტრადიციული ჩვეულების მიხედვით, ხანგრძლივი გვალვის დროს სხვადასხვა ტბებს წვიმის გამოწვევის მიზნით “წაბილწავდნენ”, ანუ კატას ჩააგდებდნენ და სხვადასხვა სიბინძურეს ჩაყრიდნენ, რაც აუცილებლად კოკისპირულ წვიმას გამოიწვევდა.

P.S. ჩვენ კიდევ ერთ ვერსიას მივაკვლიეთ, რომელიც უხეცვს სვანმა გვიამბო:

– სვანურად მას “ჩახის” (ანგელოზს) ვეძახით. ლევანდის თანახმად, იქ ბანაობა კი, არა ხელის დასველებაც არ შეიძლება, რადგან წმინდა ტბად მივიჩნევთ, რადგან გადმოცემის მიხედვით, იქ საუკუნეების წინ, ხატებით დატვირთული ურემი ჩაყარდნია...

ლ. პაპასპირი



დამორჩილი ონჯუა

გურც მაჭუ დო მუ ჭუა რე, ეკვოდვო ლახალას? დამორჩილი ონჯუა რე, შურ გინორე ფაფალას.

დიხას შირილ ღართი გეპ, ზესქვი გილაჭაფალანს. გურიშ ყებურც დანხორ გერს, მასქურს მეპუნქ ქაქალას.

შარა მეურც ბონას, რსულას, ჭეგმა გიონხაპალანს, ვადოსქიდუ მუთუნ ხუმლა, კინ ეფალუნს ნაფალას.

დამორჩილი ონჯუა რე, ზესქვი გილაჭაფალანს.

ულაშ უკულ იშენ ფსქიდუქ ფსქიდუქ

ულაშ უკულ იშენ ფსქიდუქ, მითა ბძირუნც ხვალე თოლო. ირთანც ცაში უნა სქიბუ, სოთინ ვარე დუდ დო ბოლო.

მიდართი-და, ოკო დირთუ, ვაგოკო-და, გვალო ქორდა. ცა დო დიხას ნოდვე ქირქე, მინ ცორქო დო მინი გორდა.

მუზმა წანაშ ნაგორგოთა, თოლიშ რობუს ინიფაფუ. გუმაშინე არძა ცოდა, ძირაფილ დო უძირაფუ.

ბორჯის დუშუ ჭარაშ მორსა, ბორბოლიაშორო ტყობუ. შურდგუმაშე ვარე მორსხა, იშ ნახართა ირფელც გობუ.

ღორღონ მიშა მიმოშქვანც, მა ვებრუქ მოხიშორო. ათუ ცა დო დიხაშ შქას, ჩე დღაღუ რჩქუ მოქვიშორო.

ნაგორა დუც კინ იფნუა, აქ შხვანერო რინა ვერგუ. ანთას წანაშ მომიდ ჭუა, ჩქიმ ჩილაშურ გიგოჭვენდუ.

ულაშ უკულ იშენ ფსქიდუქ, მითა ბძირუნც ხვალე თოლო. ირთანც, ირთანც უნა სქიბუ, სოთინ ვარე დუდ დო ბოლო!

გალე ფურცელს ნოდართია, გამკუნწეშე, ქუ ოთამ, ხაბულურც მოფერდაშე, შურო ვამიჩქ მუ ოთამ.

მათ ეღბი დოფთირუ დო ცა დო დიხა დოთანთარე. იხი გილეითოროლუ დო გასორება ოკარკალე.

ღეწეწერი მუნაფა, გარაგანიშ ნაქართა. ცას მურძოქ ჩხორო ფა, ნაშავარა, აგვართა.

მუტო ქუმომ უმენუ თოლოწონდემ ქირაფაქ, დიხას გერჩელ დღაღუფიშ, კინე აკორინაფაქ.

ნაგოლოფა დიხაშე, პეულეფიშ რჩქინაფაქ. ნაშავარა მუნაფა, ათე ორთას მუნაფა.

ანაქია ჭერეხიშე თანჯას ურქენც, იბურინ. ფა მოსოფუნც ურე დიხაშე, ტურტურუფც მუფურინ. აკიკათეს არძაქ ართო ათე ორთაშ მოხვარეფც, ცაშ კართეშა დუდ მიკუქ ჩელაია ოხვამეს.

ზაალ ჯალაღონია

თუ ლხინში ძიები ვართ, ზირშიაც ებრე უნდა ვიყოთ... ანუ ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის მართლაც არის განსხვავება?

„იქნებ საქართველომ აღიბადაში (11 ათასი ქართველი ცხოვრობს) ერთი ქართული სკოლა მინც აგეიშენოს ისევე, როგორც საქართველოს აზერბაიჯანელებს ცალკე, აზერბაიჯანული სკოლები აქვთ, (მაშინ ასეთ სკოლებში აზერბაიჯანული ადმინისტრაციის კონტროლი ხომ შესუსტდება ს.ხ.) თორემ გვაიწოდებენ, ქართული სკოლები იკეტება, ყველამ აზერბაიჯანულად უნდა ისწავლოსო!“

„ბოლო 20 წლის მანძილზე აზერბაიჯანულმა ადმინისტრაციამ აღიბადაის 4 აზერბაიჯანული სკოლის 4 ქართული სექტორიდან მხოლოდ ერთ სკოლაში დატოვა ქართული სექტორი და ამ უკანასკნელსაც გაუქმება ემუქრება. ასეთი კატასტროფული მდგომარეობის გამო აღიბადაის აზერბაიჯანულ სკოლებში უკვე „აღიხარდა“ ინგილოელი ქართველების ახალი თაობა, რომელთა უმრავლესობამ ქართულად წერაკითხვა არ იცის... და თუ თბილისის უყურადღებო ასე გაგრძელდა, XXI საუკუნეში, შესაძლებელია ინგილოელთა დენაციონალიზაციის ახალი ეტაპის მომსწრე გავხდეთ.“

„ინგილოური ქართული თანდათან იკარგება აღიბადაში. ქართველი ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ერთმანეთში უკვე აზერბაიჯანულად დააბარაობს. ზოგიერთი იმასაც კი ამბობს, ქართველები არა ვართ, აზერბაიჯანელები ვართ.“

აზერბაიჯანის ინგილოელ ქართველთა უფლებების უხეშად დარღვევით შექმნილმა საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა კავშირის წარმომადგენლებმა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს ასეთი პეტიცია გაუგზავნა: „საქართველოში აზერბაიჯანელების უფლებები რელიგიური და ეთნიკური ნიშნით არ ირღვევა, ჩვენ თავისუფლად ვლოცულობთ ჩვენს მწიგნობარში. ჩვენგან განსხვავებით საინგილოში მცხოვრებ ქართველებს იქაური ბიუროკრატია უამრავ პრობლემას უქმნის. მათ არა აქვთ უფლება თავისუფლად იარონ და ილოცონ ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. ჩვენ მიემართავთ თხოვნით აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს, საინგილოს ქართველებზე ზეწოლის შეწყვეტასთან დაკავშირებით მთავრობის დონეზე დასვას საკითხი“. ეს გახლავთ იმ ვრცელი მიმართვის ტექსტის მცირე ნაწილი, რომელსაც აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაეცა რამდენიმე წლის წინ, მაგრამ ამ პეტიციას რეაგირება არ მოჰყოლია!

ეს პეტიცია რუსეთის სასწავლო პოლიგონიდან ჯარისკაცის მიერ გაგზავნილ წერილს ჰგავს, რომლის მისამართი იყო „პოლევია პოიტა“, თუმცა ჩვენს მიერ აზერბაიჯანში გაგზავნილ დოკუმენტებს იმ სამკუთხა წერილის ძალაც კი არა აქვს.

„შარშან ოქტომბერში, წერს ს. კერესელიძე, ერთ-ერთ ინტერვიუში საქართველოს სახალხო დამცველმა უნა ნანუაშვილმა საინგილოში ჩასვლის, ქართველების პრობლემების შესწავლისა და მათ უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციების მოძიების სურვილი გამოთქვა...“ თუმცა ეს ვიზიტის გვიანდება.

შემდეგ სტატიაში ვკითხულობთ – „გასული წლის სექტემბერში „კვირის პალიტრამ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ თამარ სანიკიძეს პითხა: აღიბადაში ქართული სკოლების გაუქმების გამო გეგმავდა თუ არა აზერბაიჯანულ კოლეგასთან საუბარს (თუმცა, მე არ მგონია ასეთმა ერთჯერადმა კოლეგიალურმა საუბრებმა შედეგი გამოიღოს ს.დ.), მინისტრს ამაზე ასე უპასუხნია – „თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციით აუცილებლად დაინტერესდები და შესაბამის ზომებსაც მივიღებო!“ ასე გამოიღოს, თუ საქართველოს ზედა ემელონის წარმომადგენლებს ვინმემ კონკრეტული ცნობები არ მიაწოდა, აზერბაიჯანის საინგილოში მიმდინარე ქართველთა საგანგაშო მდგომარეობის შესახებ, ისინი თვითონ არც კი თვლიან საჭიროდ დაგვამილი პროგრამით იქ ჩასვლას და ყოველმხრივ

დაჩაგრული და დაბეჩავებული ქართველების შევლას!

ინგილო ქართველთა უფლებების ფეხქვეშ გათელების ყოველდღიური ფაქტები მიუთითებს ქართველ ისტორიკოსთა სუსტ კონტაქტებს მათ აზერბაიჯანელ კოლეგებთან, რაც აშკარად ვლინდება ქართველი ერის ისტორიის იგნორირებასა და უპატივისცემლობაში. აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ინგილოებს პერულ-აღბანურ-თურქული მოდგმის-გახების (და არა კახების) შთამომავლობად მიიჩნევენ. „აღბანელებს კი რატომღაც აზერბაიჯანელთა წინაპრად თვლიან“ (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე „საინგილო ქართველთა გალექება“ 1998).

შემდეგ ს. კერესელიძის სტატიაში „არ მინდა ჩვენი ენა დაიკარგოს“ ვკითხულობთ: „პირეთი აღმოსავლეთ კახეთი ანუ საინგილო, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხეა, სადაც VI საუკუნის დასაწყისიდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე არსებობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გიშქურმუხის (წმ. გიორგის სახელობის) ეპარქია, რომელიც მოიცავდა თანამედროვე კახის, ზაქათალის, ბელაქის და შექის რაიონებს. ეს კუთხე აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში ბოლშევიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებით 1921 წლის 5 ივნისს მოექცა, მანამდე იგი „ზაქათალის ოლქის“ სახელწოდებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, როგორც ავტონომიური რეგიონი.“

ზემოაღნიშნულს ჩვენ დავუმატებთ იმას, რომ „ძვ.წ. VII საუკუნეში კიმერილების შემოსევების შედეგად კოლხეთის სამეფო განადგურდა. ძვ.წ. IV-III საუკუნეებში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე თანდათან ჩამოყალიბდა ეგრისის, იბერიის და აღბანეთის სამეფოები. ხსენებულ პერიოდში შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ქართველური ტომები. დღესაც შემორჩენილია კოლხური ტომონიშები – ჭარი (წრე) ჩართახი – კიბე და სხვა. მე-9 საუკუნის „ბიზანტიური ენციკლოპედიიდან“ ვკითხულობთ „აღბანელები“ ქართველები არიან. ანზორ შინია „ჩვენი ქვეყანა ძვ.წ. IV-III სს“ „საერთო გახეთი“ №5, 9-15 თებერვალი 2011 წ.)

ისტორიულ უზუსტობას აზერბაიჯანელი ისტორიკოსები იმიტომ სწადიან, რომ ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი კოლხეთის ისტორიას მითს უწოდებს, რის გამოც მის ბრწყინვალე წარსულს, იმ მეზობელი ქვეყნების ხალხებს ჩუქნიან, რომლებიც ათასეული წლების შემდეგ გამოჩნდნენ ძველ ქართველურ ტომთა საცხოვრებელ სივრცეებზე. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი აზერბაიჯანის საინგილოშიც.

ბოლოს მკითხველის ყურადღება მიიწვივს მივაპყრო მიხეილ და ერეკლე მულოშვილების წიგნიდან „პირეთის (საინგილოს) საერო და სასულიერო პირები I დან XXI საუკუნემდე (თბილისი 2012) ამონარიდის, რომელიც ასეა დასათაურებული:

„აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებნი 06 მილიონ ქართველების თხოვნა საქართველოს საზოგადოებას“

მოგახსენებთ, რომ ვცხოვრობთ საქართველოს ყოფილ, ამჟამად კი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე საინგილოში. იგი შედგება კახის, ზაქათალისა და ბელაქის რაიონებისაგან. აქ 50.000 გამაჰმადიანებული ინგილო ქართველი ცხოვრობს, ხოლო კახის რაიონში – 7.500 ინგილო ქართველი, რომელთაც შენარჩუნებული გვაქვს ქრისტიანული სარწმუნოება. 1990 წლიდან ვიმყოფებით გაუსაძლის პირობებში. დაცული არ არის ჩვენი ინტერესები და უფლებები, არის მრავალი შემთხვევა უდანაშაულო ინგილო ქართველების ცილისწამების გზით დაკავებისა და დასჯისა. აქ მხოლოდ აზერბაიჯანელებისათვის არის სამსახური, მხოლოდ მათ აქვთ უფლება გახსნან და ამუშაონ კომერციულ სტრუქტურები შეზღუდვის გარეშე.

ბოლო დროს, აზერბაიჯანელი ჩინოვიკები ისე გათავხედნენ, რომ ინგილო ქართველებს უზღუდავენ თავიანთ ახალ-შობილ შეიღებს დაარქვან ქართული სახელები და მისცენ ქართული გვარები (ზაქათალისა და ბელაქის რაიონებში).

მათ სურთ, რომ აქ მცხოვრებმა ინგილო ქართველებმა ვიწვავოთ, ვიტანჯოთ, ბოლოს კი იძულებული გავხდეთ მივატოვოთ ჩვენი ძირძველი, მამაპაპისეული მიწა-წყალი და წავიდეთ გაურკვეველი მიმართულებით. რამდენიმე ასეული ოჯახი უკვე მოიქცა ასე – წავიდა, ზოგი რუსეთში, ზოგი საქართველოში და ზოგიც გაურკვეველი მიმართულებით.

ჩვენ კი, აქ დარჩენილი ინგილო ქართველები ჯერჯერობით ვითმენთ ამ ტანჯვა-წამებას და გაჭირვებას, ძალიან გვიჭირს ჩვენი მამაპაპის სისხლის ფასად შენარჩუნებული ქართული მიწა-წყლის მითრევა და მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა ჯერჯერობით ვძლებთ.

ეს კუთხე მსოფლიო მასშტაბით, არნახული ედემის ბაღია, სამოთხეა, თავისი ღამაზი ბუნებით, წყლებით, ბაქოდან ჩამოდიან აზერბაიჯანელები კახში და სხვადასხვა ხრიკებით, აზერბაიჯანის ხელისუფლების ხელშეწყობით იტრებიან ჩვენს ეზოებში, იშენებენ სახლებს მადახიებს და ასე გვაიწოდებენ. ჩვენ კი ამის საშუალებას არ გვაძლევენ და არც შეგვიძლია უსახსრობის გამო.

კახში 1990 წლიდან არ მუშაობს 500 კაცის ტევადობის კლუბი, რომელშიც არც ერთი სკამი აღარ არის, შენობა შესაკეთებელია. საქართველოდან პერიოდულად ჩამოდიოდნენ მეცნიერები, მწერლები და კლუბებში გვიკითხავდნენ ლექციებს სხვადასხვა ისტორიულ თემაზე. ჩამოდიოდნენ მსახიობები და ვუყურებდით ქართულ სპექტაკლებს. რასაც 1990 წლიდან მოკლებული ვართ და თუ ასე გაგრძელდება, დროთა განმავლობაში დაგვარგავთ საინგილოს, ისტორიულ მიწაზე აღარ იქნება ქართული ენა და სარწმუნოება.

2005 წლის ბოლოს საქართველოს პატრიარქი ილია მეორე მიიწვიეს ბაქოში, როცა დამთავრდა შეხვედრები, პატრიარქმა მოითხოვა საინგილოში ჩამოსვლა, აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლები დათანხმდნენ, მაგრამ თან გამოაყოფეს უშიშროების თანამშრომლები. პატრიარქმა მონახულა საინგილო, დაათვალიერა ეკლესიები, შეხვდა ინგილო ქართველებს, მოქმედ ეკლესიაში აღადგინა წირვა-ლოცვა, რომელსაც დავსწრო წირვა-ლოცვას მოწვევრებული მრავალი ინგილო ქართველი, მონათლენენ ბავშვები და მოზარდები, რის შემდეგაც ჩატარდა კონცერტი. პატრიარქი განცვიფრებული დაგვემშვიდობა, შემდეგ გავიგეთ, რომ იგი თბილისში სამჯერ გამოვიდა საპატრიარქოს რადიოთი და ქართველ ერს გააცნო საინგილოში არსებული მდგომარეობა, მაგრამ პატრიარქის მოწოდებული ინფორმაცია საინგილოს შესახებ, ყურად არავენ ილო.

არადა, „ინგილო ქართველები ვკარგავთ ენას, მამულს, სარწმუნოებას, რომელიც დღემდე შენარჩუნებული გვაქვს ტანჯვა-წამებისა და გაჭირვების ფასად. თქვენ თუ შეგვიწინარებთ ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწა-წყალს ამით შეასრულებთ დიდ ისტორიულ მისიას, რასაც ჩვენი ხალხი არ დაგვიკარგავთ“.

საინგილოს გადაჩენის და ხელშეწყობის საზოგადოება „პირეთის“ ანგარიში გახსნილია თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე „ქართუ ბანკში“, ანგარიშის ნომერია 000323604, ხოლო აშშ დოლარებში №04417110. წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის და გაგაცნობთ საინგილოში უპირველესად გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხას:

საჭიროა ტრანსპორტის საკითხის უსწრავლად გადაწყვეტა, ვინაიდან 1990 წლის შემდეგ საინგილოში არ დადის ავტობუსი. კახის რაიონში უნდა შეკეთდეს 500-კაციანი კლუბი.

საინგილოს სკოლების პედაგოგებმა თბილისში უნდა აიმაღლონ კვალიფიკაცია. ხელი შევეწყვიტოთ სტუდენტ-ახალგაზრდობას საქართველოში სწავლა-განათლების მიღებაში.

საინგილოში ხალხის დასაქმებისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა თამბაქოს მოყვანის საკითხის გადაწყვეტა (არის შესაძლებლობა 500-1000 ტონამდე თამბაქოს მოყვანისა, რის შედეგადაც დასაქმდება ათასობით ადამიანი).

საჭიროა კახში აშენდეს თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა. ყოველწლიურად საჭიროა საინგილოს სკოლისათვის ახალი სახელმძღვანელოების მოწოდება.

საჭიროა საინგილოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესიების რესტავრაცია და აღდგენა.

დაინტერესებული პირები და ორგანიზაციები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე: 2792701; 955533549.

მართალია საინგილოს ქართველთა მოთხოვნა, რომლებიც გადაშენების ზღაერზეა მისული არ წარმოადგენს ადვილად მოსაგვარებელ პრობლემას, მაგრამ საქართველომ ეტაპობრივი დახმარება ხომ უნდა დაიწყოს, რათა აზერბაიჯანელმა ადმინისტრაციამ ხელი აიღოს 21-ე საუკუნეში ქართველი ხალხის ტანჯვა-წამებაზე, მათი გადაშენების მიზნით. ამისათვის საქართველოს მთავრობას საკმარის ძვირფასი აქვს ხელთ. საქართველოში ფუფუნებით მცხოვრები ნახევარ მილიონამდე აზერბაიჯანელი ხალხის სახით. ჩვენ მათ ვუშენებთ მწიგნობებს, სკოლებს, უნივერსიტეტებს, საცხოვრებელ კომპლექსებს, შეუზღუდავად არიან საჯარო სამსახურებში, სამაგვიროდ ჩვენი ქართველობა ტყვეობაში ჰყავთ უფლება აყრილი და გაწამებული. ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველომ დაუყოვნებლივ უნდა მიხედოს გადაშენებამდე მისულ ქართველებს საინგილოში.

დასკვნა

ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების კეთილი დამოკიდებულება საუკუნეებს მოიცავს, რაც ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებშიც ასახულია. ეს კეთილი ურთიერთობები დღესაც ასეა და მომავალშიც ასე უნდა გაგრძელდეს.

თუმცა ეს არ ითქმის აზერბაიჯანის ხელისუფალთა დამოკიდებულებაში საინგილოს ქართული მოსახლეობის მიმართ.

ქართულ პრესაში – „საქართველოს საპატრიარქოს უწყებაში“ (№27,28) ჟურნალში „ჰოროსკოპი“ №7, 8, 9, 10 „ათინათი“ №5,6) საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების შრომებში და სხვა ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება აღმსოფოთებელი სტატიები აზერბაიჯანში ინგილო ქართველთა უკიდურესად გამწვავებულ მდგომარეობაზე.

აქედან გამომდინარე, მრავალრიცხოვანი ქართველი მკითხველი შემოწუნებულია ჩვენი ინგილო ძმების უშიშროების მდგომარეობით, მათ შორის საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისც, ამიტომ თხოვნით მივმართავთ საქართველოს:

- პრეზიდენტს ბატონ ბიორბი მარბეველასშილს;
- პრემიერ მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს;
- ბანათლების მინისტრს ძალბატონ თამარ სანიკიძეს;
- სახალხო დამცველს ბატონ უნა ნანუაშვილს;
- უახლოეს პერიოდში შეიქმნას კომპეტენტური დელეგაცია აზერბაიჯანში მცხოვრები საინგილოს ქართველების მდგომარეობის შესასწავლად და მათი გაუსაძლისი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.
- მრავალათასიანი მკითხველთა სახელით, სიმონ ღომენტიძე, ონარ კაპაშა, მეცნიერების დოქტორები

სატანა მიღის იმ, სადაც ღმერთი არ ებუჯება

(გაგრძელება მე-9 გვერდიდან) ჩვენ კი პირიქით გავაკეთეთ: მიზანმიმართულად გავაბუნდოვანეთ კოლხეთი და იბერია...

წინასწარი სამზადისია. აქეთ კი სომხები ეძებენ „თავიანთ დაკარგულ მიწებს“ საქართველოში...

გასახედად თვალმომავალი მისტიკური. ჩვენს ქვეყანაში ერთხელად უამრავმა პრობლემამ წამოიჭრა თავი...

მაქვს. მაძღრებს არაფერი უკეთუბით ამ ცისქვეშეთში. მაძღარი ვერ ამოკვეთდა კლდეში...

სულით მშვირები იგებდნენ ყველა ომს ამ ცისქვეშეთში!

ბიორბი სიზინავა, მწერალი

როცა ბგაქმს საკრალური ეროვნული მიზანი...

ზურაბ კვარაცხელიას სტატუსი ფინისშუხა

თანამემამულენო! ამ საღამოს ისევ მომინდა ძალზე მოკლედ გამოვთქვა ჩემი მოსაზრებები...

და საქმით უნდა შევეცადოთ ორ-მხრივი ინტერესების დაბალანსებით საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავალი...

საკრალური მიზანი, ვიდრე ეს დაკარგული ტერიტორიების რეინტეგრაცია და კოლხურ-იბერიული იდენტობის დაცვა-შენარუნება!

ზურაბ კვარაცხელიას განცხადება ფინისშუხა 18.01.2015 წელი

განცხადება ჩემს მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებით მაგანის მიერ მოწოდების გამო...

ნამდვილად არ მინდოდა, არ ვთვლიდი საჭიროდ საჯარო სივრცეში გამოცხადებას ეს საკითხი, მაგრამ მაგანის უკვე აღარ კმაყოფილდებიან მუქარის წერილებით...

P.S. ერთს დავამატებ კიდევ: უბედურესი ადამიანი ვიქნები თუ მამულის ინტერესებისათვის ვნებული გახდები...

ახლა კი, საზოგადოებას დიდი ბოდიშის მოხდით ვთხოვ გადახედოს ვინმე თემურ ხუბუას ამ ნაბოლევარს...

თემურ ხუბუა: „ზურაბ კვარაცხელია რომ გაგვეცნოს თუ შეიძლება??? ეს ყოველივე ძალიან კარგად დაგვიწყობს ისტორიების ნაწილი, თუ ძალიან გინდათ აქოთ რუსები რა ვერ ბედავთ?? თუ გგონიათ ქვეტექსტს ვერ ვხედავთ?? ვაი თქვენს პატრონს, თქვენისთანა დაუნებს მართლა ჰგონიათ მათზე მეტი ხეპრეები ვართ...“

სამეგრელოს სირცხვილად ლოთი ქობალია და კმანნი მისნი ვერ მოუშუშებია ეხლა ზურაბ კვარაცხელია გამონდა ლიდერი... თუ ვინმემ იცით მისი ადგილი სამყოფელი ეხლავე ჩაიზღეთ რომ ამ დებილების ხმაც არ ისმოდეს!!!“

ზაზა ღაზითაიას განცხადება 22.01.2015 წელი

ჩემს მეგობარს, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ უძველეს წევრს, სამშობლოს სიყვარულით გამორჩეულ კაცს, ზურაბ კვარაცხელიას, რომლის თავზე კომუნისტების დროიდან მოყოლებული, წისკილის ქვა არ დაბრუნებულა...

სააკაშვილი ივანიშვილისა და „შავ სიაში“ მყოფი პირების მოსაკლავად შტაბი შექმნა

საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინაში შექმნა შტაბი, სადაც, თავის მომხრეებთან ერთად, ამუშავებს სამშობლოში დაბრუნების გეგმას...

„ალია“ აღნიშნავს, რომ ცნობილი უფლებათა დამცველი იური ვაზაგაშვილის მკვლელობა 20 იანვარს მისი ვაჟის, წინა რეჟიმის მსხვერპლი ზურაბის საფლავზე, საჯაროდ, შემუშავებული გეგმის ნაწილია...

ექსპრეზიდენტის გარემოცვაში გამოცემის ცნობაზე კომენტარს არ აკეთებენ. თავად სააკაშვილი ყველა ბრალდებას უარყოფს. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ სააკაშვილი უკრაინაში გასამხედროებული ქვედანაყოფის შექმნით არის დაკავებული საქართველოში ხელისუფლების დამხობისა და სახელმწიფო გადატრიალების მიზნით...

საინტერესოა, როდის დადგინდება საქართველოს ხელისუფლება იმაში, რომ ნაციონალური მოძრაობა ტერორისტული დშნაკური ორგანიზაციაა და აუცილებელი მისი ლიკვიდაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო მუდამ ისეთ ნაღმზე იჯდება, რომლითაც ამას წინათ ნაცმოძრაობის მკვლელებმა ააფეთქეს ცხონებული იური ვაზაგაშვილი.

სამინფორმაციო



სახალხო მოძრაობა „სამმბრელო“ ზუგდიდის ორგანიზაცია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 79 წლის ასაკში გარდაიცვალა ზუგდიდის საკრებულოს უხუცესი წევრი, შესანიშნავი პიროვნება ბატონი ნაკო ბაბისონია და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

სახალხო მოძრაობა „სამმბრელო“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს ქალბატონ ელისო ვიბლიანს დედის ნაზია ცინდელიანი-ვიბლიანის გარდაცვალების გამო

ხორში – ბვასალიების ბვარის საცხორისი!



უტყუარი ისტორიული წყაროებით დადგენილია, რომ სოფ. ხორში (სენაკის რ-ნი) გვასალიების გვარის თავდაპირველ საცხორისს წარმოადგენდა და მჭიდროდ დასახლებული ადგილი ყოფილა. მიუხედავად გვასალიების გვარის შესახებ არსებული მწირი მასალისა, ამას ადასტურებენ გამოჩენილი ისტორიკოსები: სიმონ ჯანაშია, სერგი მაკალათია, „ხორში არის გვასალიების საცხორისი“.

გვასალიების გვარი უძველესია, ის დიდგვაროვან წარჩინებულთა ან თუნდაც თავადური, აზნაურთა გვარი არ არის, მაგრამ საერთო სახალხო გვარია.

გვასალიების გვარის ეტიმოლოგია დაზუსტებით არ არის გამოკვლეული. მართალია დღეს ქართველი მეცნიერები, აკადემიურად არ მუშაობენ გვარის ფენომენზე, გარდა ერთეულებისა. დადგინილია, რომ გვარის ინსტიტუტი, მსოფლიოში შედარებით ახალია. საქართველოში გვარის დაკანონება XIX საუკუნეში საბოლოოდ ჩამოყალიბებული ჩანს. დასავლეთ საქართველოში ლაზებს, მეგრელებს, აფხაზებს და სვანებს, გვარები უხსოვარ დროიდან ჰქონიათ.

მუსლიმანურ ქვეყნებში, შვილს გვარად მამის სახელი ეძლეოდა, მამა და შვილი სხვადასხვა გვარს ატარებდნენ. გვარი მხოლოდ ერთ თაობაში არსებობდა.

კოლხურ გვარებში ასეთი რაღაც მიუღებელი იყო, თუმცა ქართულ გვარებშიც გვხვდება სახელიდან ნაწარმოები გვარები, უფრო მეტად აღმოსავლეთის ქართველებში. აქედან გამომდინარე ისტორიული ჭეშმარიტება მოითხოვს, რომ გვარი გვასალია, უძველესი წარმომავლობის კოლხური გვარია.

სოფელი ხორში, სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის დროს **ზუბის** მაზრის შემადგენლობაში შედიოდა და მისი მოსახლეობა 20 ათასამდე ადამიანს ითვლიდა. ის დაყოფილი იყო შემდეგი ადმინისტრაციულ ერთეულებად: საგვასალიო, ხორში, საგაბესკირთი, ახალი დოხოტე, ციხეთი მეორე ხორში, მაცხოვრის კარი. შემდეგ კი ზუგდიდის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა, მოგვიანებით კი როცა სენაკი გახდა მაზრის ცენტრი, მის შემადგენლობაში. თუ რატომ დაერქვა სოფელს ხორში, თქმულება ასე გადმოგვცემს. ვიღაც ხელოსანი მოგზაური მიდიოდა თურმე, სამოსახლოს ეძებდა, შეხვდა მგზავრი და შეეკითხა, სად მიდიხარო, მან უპასუხა „ოხოტუშა“ (სამოსახლოდ). შემოხიზნული კაცი ვარ, აქ მინდა დავსახლდეთ და აქედან დარქმევია ამ სოფელს „ოხოტუშა“, შემდეგ გადაკეთებული ხორშია და ხორში.

ძველ საეკლესიო და საკანცელარიო საბუთებში ადგილს ოხოტუშა ჰქვია.

საბჭოურ ქართულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, ხორში ცხაკაიას რ-ნის

სოფლების, დიდი ხორშისა და შუა ხორშის ძველი სახელწოდებაა.

ტოპონიმი ხორში, „ხორ“-ფუძე, სახლის მცენებასაც გამოსახავს (ხორუა), აგრეთვე ფუძეა სახელწოდებისა, **ხორა** – ქანალი; **ხორგი** – ხურგი იგივე საზღვარი; **ხორუა** – სახლობა, სახლ-კარი, სასახლე; **ხორხ-ოშანს** – ხორხოცობს, მადიანად იცინის; **ხორგილი** – ხერგილი, ხერგის გროვა; **ხორგიში** – ხერგის დობე; **ხორგო** – ხერგ-ხერგად; **ხორგული** – ვაკე ადგილი მხარე; **ხორილე** – ქოლერა; **ხორში** – ატმის ჯიში; **ხორ** – (რუს) – მოზრდილი მომღერალთა გუნდი; **ხორ-ზენე** – დასახლებული ვაკე; **ხორა-კოლხეთი** – ბერძენთათვის ტყით დაფარულ სივრცეს ნიშნავდა. ფუძე „ხორ“ სხვა ენების კუთვნილებაა, მაგრამ ის სხვა ენებში კოლხური სამყაროდან გადასული სიტყვაა. გამოდის, რომ კომპოზიტი „ხორ“ მრავლობითის გამომსახველი სიტყვაა და მნიშვნელობა არა აქვს, თუ რის სიმრავლესთან გვაქვს საქმე.

ხორშის რელიეფი გორაკ-ბორცვიანი ზეგანია, მას ხუმრობით პატარა „შევიცარიას“ ეძახიან. ხორშელებმა საბჭოურ ეპოქაში სიმღერაც კი შექმნეს, „ჩქინ სოფელი ხორში ორე, ვართ გოლა დო, ვართ დაბალო“ (ჩვენი სოფელი ხორშია, არც მთაა და არც დაბლობი). ტექსტი ეკუთვნის აკაკი გვასალიას. სიმღერა წლების განმავლობაში სრულდებოდა, ფოლკლორის ფესტივალებზე დიდი წარმატებით.

სოფლის ტერიტორიაზე უხსოვარ დროიდან მოყავდათ ვაზი. აღსანიშნავია „ოჯალეში“, „ხორშაკი“, „ხორშონა“. სამწუხაროდ ყურძნის ეს ორი სახეობა დღეს გადაშენებულია. სამევენახეო ლიტერატურაში სრულიად აღუწერელი და უცნობია. საფიქრალია, ხორში შეიძლება ყოფილიყო უძველესი კოლხური ჯიშების გაავრცელების არეალი, მეორე ვერსიით, ხომ არ უკავშირდება სოფლის სახელი ამ ყურძნის ჯიშებს?

თუმცა ყოველი ტოპონიმის, ხშირად ერთი შესხვედით თითქოსდა ადვილად გასაშიფრის, ხალხური ეტიმოლოგია, თანდართული გადმოცემები და ლეგენდები, ვალბ გზაზე აყენებენ მკვლევარს, რომელსაც დიდი მეცნიერული და ხანგრძლივი კვლევა-ძიება სჭირდება.

ხორშელები (და არა მარტო ხორშელები), სადაც ვაზი უნდა მოეყვანათ, ობჟალე (მზიან) ადგილებს ირჩევდნენ. ბუაში, ჩხანაში, ბუერი, ჩხორია (მზის სხივები), მხესთან დაკავშირებული სიტყვებია და მას ღვთაებრივ სიკეთედ თვლიდა, საუკეთესო ვაზს, ობჟალე ვაზს, აქ რგავდა და ძვირფას ყურძენს იწვედა. მისგან დაწურული ღვინო, სახედაშე ღვინოდ ითვლებოდა, ე.ი. ნოტიო ნიადაგის გამო, ვაზს „მხესთან უშვებდნენ“.

წარმართულ ეპოქაში, ტოპონიმი ბუერში,

აღსანიშნავია, რომ ხალხი მზის ღვთაებრივ სახეს ხედავდა. აქ, იგი მზის ღვთაების სალოცავ კერას მიუთითებს, ხალხური გადმოცემით აქ ესვენა თითქოს მზის გამოსახულების ვარცხლი, რაზედაც ხალხი ლოცულობდა, შესაწირავს წირავდა.

მარტვილის რ-ში არის ბუერიშ გოლა (მზიანი მთა), სოფლის ნაყოფიერი ნიადაგი, ოღითგანვე მარცვლეულ კულტურათა ასორტიმენტს განაპირობებდა. აქ ითესებოდა პურიც, სიმინდიც, მჭადისმჭადიც, თესდნენ ურიშს, ტექნიკური მცენარეებიდან ფართოდ მოყავდათ და იყენებდნენ ბამბას, სელს, რამს და კანაფს, ქსოვდნენ დარაიას, სელის ტილოს, ჯვალოსა და ხამიანს. საბჭოურ ეპოქაში კრფდნენ ჩაის, იყო ეთერზეთების ქარხანა, სადაც ძვირფას პარფიუმერულ ზეთს ღებულობდნენ, სოფელი ისტორიული წარსულით და სამეურნეო კულტურის მდიდარი ტრადიციით გამოირჩეოდა. დღეს ეს ყველაფერი სოფელში, სამწუხაროდ, ჩამკვდარია.

ხორში ტოპონიმიში, უდაოდ საყურადღებო ცნობებია, ხალხის ყოფისა და კულტურის ტრადიციების შესახებ, მაგ... ნაოსნაპუ, ოსნაპურეში (საცეკვაო ადგილი), ობირეში (სახიმღერო ადგილი), ოჯარეში, ჯარალა (ადამიანების დიდი მასის თავშეყრა), და ბუერი სხვა. ე.ი. ხალხის გართობის, დახვეწების, მათი თავშეყრისა და მოლხენის, მათი ხალხური, კულტურული ტრადიციების დიდებულ კერებს წარმოადგენდა.

სოფელში დღესაც გვხვდება ნაომარი ადგილები, ლომური, ნალიშუ, აქ დიდი თურქობის დროს ომი მომხდარა, ბრძოლას მრავალი აბორიგენი ადამიანი შეწირვია, ველი სულ დაჭრილთა და მოღკალუთა გვამებით ყოფილა დაფარული, გადმოვცემს შემატანე.

სოფელში წირვა-ლოცვა მრავალ ადგილას ტარდებოდა. სენაკისა, ჩხოროწყუსი და ავსტრალიის მიტროპოლიტის შიო (მუჯირის) უტყუარი ინფორმაციით ხორში ცხრა მართლმადიდებლური ეკლესია ფუნქციონირებდა. მათგან აღსანიშნავია გვასალიების გვარის სალოცავი ეკლესია, რომელიც წმინდა გიორგის სახელობის ყოფილა. ეკლესიაში მოღვაწეობდნენ: მღვდლები მამა პავლე (გვასალია), მამა დიმიტრი (გვასალია), მამა გრიგოლი (გვასალია). შემდეგ, მაცხოვრის კარის ეკლესია, „მანცხვარ ოხვაშე“, ძეგლის ნარჩენები შემორჩენილია, მისი ქვები მოხატულია, იგი ბაზალიკაა და მე-X-XII ს-ის ნაგები უნდა იყოს. კედლის მხატვრობა, ორნამენტოვანი სარკმლისა და კარის არშიები სწორედ ამ პერიოდზე მეტყველებს. ეკლესიის ქვების დიდი ნაწილი სხვა დანიშნულებისათვის მოუხმარიათ. მაცხოვრის კარის ეკლესიის ფრაგმენტები ქ. სენაკში ჟ. შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. ეკლესია ყოფილა „ახალ დოხოტეშიც“ (სადადიანო) სადაც ცხოვრობდა მამა და კონსტანტინე დადიანების შვილი გრიგოლ (გრიშა) დადიანი, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ძმისშვილი. იგი იქვეა დაკრძალული. სასაფლაოზე, უზარმაზარი ცაცხვის ვეშა ხეები დგას დღესაც, რომელიც მე-IV საუკუნეშია დარგული (არც თუ დიდი ხნის უკან, პირველ არხზე იყო გადაცემა ცაცხვების ასაკის შესახებ). ეკლესიები ხორში ავადსახსენებელ 30-იან წლებში დაუნგრევიათ.

უფლის ძალისხმევითა და შთაგონებით, 30 აგვისტოს, მარიამობის მეორე დღეს, ხორში უჩვეულო ზეიმი იყო. შეიკრიბა თითქმის მთელს საქართველოში მცხოვრები გვასალიები, რომლის მამამთავრები არიან ბატონები: არდევან გვასალია (დიზანიერი), ზვიადი გვასალია (ქორეოგრაფი), ბადრი გვასალია (ბიზნესმენი), სწორედ ამ ადამიანების ძალისხმევით

გახდა შესაძლებელი თავყრილობის ჩატარება.

ის ადგილი, სადაც დანგრევამდე გვასალიების გვარის სალოცავი იდგა, სოფელ ზიანის, ფერისცვალების ტაძრის წინამდევარმა, მამა ალექსიმ აკურთხა და გადაწვდა, უახლეს ხანში ეკლესია უნდა აღსდგეს. მიტოპოლიტმა, მეუფე შიომ (მუჯირი) საპატრიარქოსგანაც აღუთქვა დახმარება.

ურიგო არ იქნება შევასენო მკითხველს, წარსულში გამოჩენილი გვასალიების გვარიდან საზოგადო მოღვაწეები: **მოსე გვასალია** – მწერალი, ავტორი სამი რომანისა („ობლის კვერი“, „სურამი“, „ქალიშვილის დღიურიდან“) და მოთხრობების მრავალი კრებულის („არჩვის ბილიკე“, „ენგურის ჭაღებში“, „მქები“, „თარჩია“ და სხვ.). **იოსებ გვასალია** – ფილოლოგი, უცხო ენების სპეციალისტი, აქვს შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი თარგმანი მეგრულად. **იუსტინე გვასალია** – იურისტი, 30-იან წლებში ზუგდიდის რ-ნის პროკურორი.

სოფელში დაარსდა სკურის 8-წლიანი სკოლა. გამოირჩეოდა უბადლო ორატორული ნიჭით. მისი სიტყვით გამოსვლის შემდეგ ვერავინ ბედავდა ტრიბუნაზე ასვლას. სწორედ ამ ორატორულ ნიჭს შეეწირა, ანტიპარტიულობა დასწამეს და დახვრიტეს ავადსახსენებელ წლებში.

ტული გვასალია – პოლიგლოტი, ფოთში დაბადებული, მაგრამ ფესვებით ხორშელი, უზომოდ შეყვარებული ძირ მშობლიურ სოფელზე. ამ ადამიანის განსაკუთრებული ნიჭის შესახებ თავის დროზე, მსოფლიოს ყველა ცნობილი გამოცემა წერდა. 48 ენა იცის, 1500-მდე ჩინური იეროგლიფი, ლაპარაკობდა ინდიელთა ტომების დიალექტებზე. მსოფლიოში სულ 22 კაციდან, რომლებმაც რამდენიმე ათეული ენა იციან, ამ უნიკალური ადამიანებიდან კი ერთერთი, ქართველი პოლიგლოტი, ტული გვასალიაც შედიოდა.

გვასალიების არც დღევანდელი თაობა დალატობს მამა-პაპურ ტრადიციებს და აქტიურად არიან ჩაბმულნი, სოფლის თუ სრულიად საქართველოს აღმშენებლობაში. აი ისინიც: **ზურაბ გვასალია**, თბილისი, ბანკების ასოციაციის გენერალური დირექტორი. **ავთანდილ გვასალია** – თბილისი, სარეკლამო გამოცემების გენერალური დირექტორი. **ლაშა გვასალია** – მწერალი, ხობი. **მერი გვასალია** – სენაკი, გეოგრაფი გამოცემული აქვს მეცნიერული ნაშრომები, „სადაც ვმობილვარ გავზრიდევარ“, „ნუ ვივიწყებთ გზასა ძველსა“. **გურამ გვასალია** – მარტვილი, დამსახურებული პედაგოგი. **ბორია გვასალია** – თბილისი, ბიზნესმენი. **ვალტერ გვასალია** – ხორში, ფილოლოგი გერმანისტი, დამსახურებული პედაგოგი. **მურმან გვასალია** – ხორში ბიზნესმენი. **ცეზარ გვასალია** – ხორში ფერმერი.

არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, გვასალიების შეკრებაში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ყველა ქალაქში არჩეული იქნა უხუცესთა საბჭო, სამი კაცის შემადგენლობით გვასალიების გვარიდან. გაიხსენება საბანკო ანგარიში.

შეკრების დასასრულს, გაიმართა დიდი ტრაპეზი, აღფრთოვანებული ადამიანები უფალს შეჰვალადებდნენ გამრავლებას, ჯანმრთელობას და სხვა სიკეთეს. ღვინო გვიანობამდის გაგრძელდა. იყო ცეკვა, თამაში, სიმღერა. მადლიან ადამიანებს რა გამოლევს ქვეყანაზე, ადამიანები, რომ უკუდავყოფენ თავის გვარ-სავარეულოს ამაში ცუდი ნამდვილად არაფერია, პირიქით მისაბაძია. უფალი ფარავდეთ გვასალიებს.

ბიჭიკო თუნთია,
ქ. სენაკი

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალალანია

შოთა არველაძის ბავშვთა ნიღბი "ქასიმფაშა" ახლა ანტალიურ შეკრებაზეა

თურქეთის ჩემპიონატში ამ გუნდს 23 ქულით მე-7 ადგილი უჭირავს. ანტალიაში შოთას კრებული ერთადერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს - მალე ბაქოს "ინტერს" დაუბრუნდება.

ეს ის შემთხვევაა, როცა ქართველი ქობაგისთვის მატჩს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს - მართალია, თამაში საკონტროლოა, მაგრამ ჩვენთვის ძალიან საინტერესო იქნება დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ორი გამოჩენილი წარმომადგენლის და თან, ორი უახლოესი მეგობრის, შოთა არველაძისა და კახა ცხადაძის სამწვრთნელო დუეტის ხილვა.

საინტერესოა, რომ ანტალიური შეკრების მიმდინარეობისას "ქასიმფაშა" და "ინტერი" ერთ სასტუმროში ცხოვრობენ...

სიტყვა გავევირთო და სჯობს, გადავიდეთ არველაძის ინტერვიუზე, რომელიც 13 იანვარს ჩაქურეთ:

- ამჟამად "ქასიმფაშა" თურქულ შეკრებაზეა, - დაიწყო შოთამ. - აქ თურქეთის ჩემპიონატის განახლებაზე დაგონებით და ერთ საკონტროლო მატჩსაც ვაგებართავთ. უკვე იცით, ალბათ, რომ 17 იანვარს კახა ცხადაძის "ინტერს" ვეთამაშებთ. მეტი მატჩი აქ არ იგეგმება.

- შეაფასეთ "ქასიმფაშისთვის" თურქეთის ჩემპიონატის განვლილი ნაწილი...

- იყო სამი-ოთხი ცუდი თამაში. ფეხბურთია და ხდება. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, რომ ყველაფერი გამოვასწოროთ. ისე, წინასწარი გათვლით, ამ დროისთვის სადღაც 27-28 ქულა უნდა გვქონოდა, მაგრამ... რაც არის, ეს არის.

- გასაკვირი არ იქნება, გაძლიერებას აპირებდით. გაქვთ უკვე კონკრეტული სატრანსფერო მონახაზი?

- ვილატებს კი ვეძებთ ჩვენთან, მაგრამ... რა ვიცი... შუა სეზონში ძალიან რთულია კვალიფიციური ფეხბურთელების აყვანა. ბევრი უთამაშებელია და ამის გამო უნდა გუნდის გამოცვლა. უთამაშებელი ფეხბურთელი კი რამდენად გაგაძლიერებს, ეს სხვა საკითხია.

- საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებზე მასალის მომზადებისას შევიტყვე, რომ "ქასიმფაშაში" ვატი არველაძე (რევაზ არველაძის ვაჟი - ავტ.) ჩარიცხულია. მან უკვე თამაში ახალ გუნდში?

- ჯერ მხოლოდ ერთი ამხანაგური შეხვედრა ჩატარა. ვატი "ქასიმფაშას" 17-წლამდელთა გუნდშია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ჩამოვა ლიცენზია და ამის შემდეგ მას უკვე ოფიციალურად შეეძლება თამაში.

- კიდევ ხომ არ აპირებთ რომელიმე ქართველი ფეხბურთელის აყვანას?

- იცით, ალბათ, რომ ჩვენთან თამაშობს ახალგაზრდა ქართველი მეკარე ოთარ გოშაძე. გარდა ამისა, მინდა კიდევ ერთი პერსპექტიული ქართველი

ფეხბურთელის აყვანა. ამ ეტაპზე მის ვინაობას ვერ დავასახელებ, რადგან კლუბში ირიცხება და ჩემთან ეს ეთიკური არ იქნება.

- ანტალიაში უკვე შეხვედით კახა ცხადაძეს?

- ერთ სასტუმროში ვცხოვრობთ და, აბა, როგორ იქნებოდა?! უკვე ძალიან ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ...

- რა თქმა უნდა, თქვენი საუბრის დეტალები ვერ ჩაეჭვება ერთ საგაზეთო ინტერვიუში, მაგრამ მაინც - რა იყო მთავარი ამ საუბარში, რაც დღეს შეგიძლიათ გაგიმხილოთ?

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კახა ცხადაძე ხედავს იმ გზას, რომლითაც მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა უნდა იაროს. კარგია, როცა გვაქვს რწმენა, რომ შეგიძლია გაუმკლავდე უამრავ პრობლემას. ჩემთვის უზომოდ სასიხარულო ფაქტია ის, რომ კახა ძალიან იმედიანადაა განწყობილი.

- დიდი ალბათობით, საქართველოს ნაკრებს უახლოეს მომავალში დაუბრუნდება ალექო ამისულაშვილი. დაწვეულია მუშაობა გიორგი ნავალოვსკის საკითხზეც. როგორც ცხადაძე ამბობს, შანსი ყველას მიეცემა. რას იტყვით ამ ტენდენციებზე?

- მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვინ ითამაშებს საქართველოს ნაკრებში. ცხადაძის სამართლიანობაში კი 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული.

აქვე მინდა ერთ გარემოებაზე გავამახვილო ყურადღება - საქართველოს ნაკრებში სადღესოდ ყველა საუკეთესო ქართველმა ფეხბურთელმა უნდა ითამაშოს. არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ფეხბურთელს თამაში შეეძლოს და ამ დროს, სანაკრებო კარიერა დაასრულოს. ამის გაკეთების უფლება თავს ისეთმა მოთამაშემ უნდა მისცეს, რომელმაც ყველაფერს მიაღწია ნაკრებთან ერთად.

რა კრიტიკიუმით შეარჩევს კახა ცხადაძე საქართველოს ნაკრებისთვის უეხბურთელებს



საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე, რომელიც პარალელურად ბაქოს "ინტერს" წვრთნის, ახერხებულად გუნდთან ერთად შეკრებაზე ანტალიაში იმყოფება.

თურქეთში ცხადაძესთან ექსკლუზიური ინტერვიუ "პირველმა არხმა" ჩაწერა, სადაც მწვრთნელმა სხვაგვარად ერთად, ისაუბრა იმაზე, თუ რა კრიტიკიუმებით შეარჩევს ფეხბურთელებს:

"ნაკრების ფეხბურთელებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ სათამაშო პრაქტიკა. პოლონეთთან მატჩში ყველამ დაინახეთ, რომ ის მოთამაშეები, რომლებსაც პრაქტიკა აკლდათ, მეორე ტაიმში "დადგნენ". ცხადაძე ნაკრების ფეხბურთელებს მეტი ოპტიმიზმისკენ მოუწოდებს:

"ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, რომ არაფერია იმაზე ღირებული, ვიდრე ეროვნულ ნაკრებში თამაში და იქ წარმატება. ეროვნულ გუნდში მიღწევა გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე კლუბში რაღაცის მოგება და ეს ხომ ფაქტია?!"

სპეციალისტის აზრით, სახელმწიფომ დიდი ყურადღება ეროვნულ ჩემპიონატს უნდა დაუთმოს:

"სახელმწიფომ ფული უნდა გაიდოს ფეხბურთისთვის. არ უნდა იყოს მიდგომა - იმიტომ არ მოგცემ ფულს, რომ ის ჩემი მეგობარი არ არის, ის სხვისი მეგობარია... ყველა ჩვენგანის მეგობარი არის ჩემი ქვეყანა.

ფული უნდა ჩაიდოს ეროვნულ ჩემპიონატში, ამ ეტაპზე სხვა პრობლემას მე ვერ ვხედავ".

ნაკრების ორ უახლოეს მატჩში (25 მარტს მალტასთან, 29 მარტს გერმანიასთან) ეროვნული გუნდის დაცვის ხაზს ერთწლიანი შესვენების შემდეგ, შესაძლოა, ალექო ამისულაშვილიც დაუბრუნდეს.

"ჩემთვის დიდი პატივია ნაკრებში თამაში. ამ თემაზე მქონდა კახასთან საუბარი და დიდი სიამოვნებით დაგვრუნდები გუნდში", - აცხადებს ბაქოს "ინტერის" მცველი, რომელმაც თავის დროზე ეროვნული გუნდი თემურ ქეცბაიასთან კონფლიქტის გამო დატოვა.



გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერიძე - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერიძე - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რელიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათს დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრადის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველისკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რელიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათს დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრადის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374.

გამოვიდა შურნალ "აია"-ს მომდევნო ნომერი (№18), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი გიორგი სიჭინავა.

შურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I საღარბაზო, ბინა - I.

ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყეში, აბაშაში და მარტვილში შურნალის შექმნა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლობაში.

შურნალის ფასია 4 ლარი.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუხისილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეკურნავს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შეულის ცერებრალურ დაზიანებას, ყურებშია ჩირქიანობა, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ცეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მეურნალის კოორდინატები: თელავი, სოფელი შალაში, ბაზნიკი პიპიკო (ლომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე - შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმნულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან